ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲛᲣᲨᲐᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

ᲡᲐᲥ. Კ. Პ. (ᲑᲝ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

№ 183 (5284) | ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 11 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ 1938 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 10 ᲙᲐᲞ.

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲐᲖᲔᲗᲨᲘ:

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲔᲡᲘᲐ („ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ ᲛᲝᲬᲕᲘᲜᲐᲕᲔ)

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲔᲡᲘᲐ: ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲪᲜᲝᲑᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ, ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ, ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ (1-ᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ)

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ (1-ᲚᲘ ᲒᲕ.)

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ (ᲞᲠᲘᲛᲝᲠᲘᲡ) ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲨᲢᲐᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ. (1-ᲚᲘ ᲒᲕ.)

ᲮᲐᲡᲐᲜᲘᲡ ᲢᲑᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠ ᲨᲔᲢᲐᲙᲔᲑᲐᲗᲐ (1-ᲚᲘ ᲒᲕ.).

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ (1-ᲚᲘ ᲒᲕ.)

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ:

ᲡᲐᲛᲐᲠᲘ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ (ᲛᲔ-4 ᲒᲕ.).

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲔᲑᲖᲔ (ᲛᲔ-4 ᲒᲕ.).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲔᲑᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ—ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲔᲡᲘᲐ. ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲣᲗᲮᲔᲓᲐᲜ ᲐᲠᲐᲜ ᲩᲐᲛᲝᲡᲣᲚᲜᲘ, ᲙᲕᲚᲐᲕ ᲨᲔᲘᲙᲠᲘᲑᲔᲑᲘᲐᲜ ᲙᲠᲔᲛᲚᲨᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲬᲧᲕᲔᲚᲐᲓ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲔᲡᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲣᲐᲚᲠᲔᲡᲐᲓ ᲞᲐᲡᲣᲮᲡᲐᲒᲔ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲘᲬᲧᲔᲑᲓᲐ. ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲒᲠᲝᲕᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ ᲩᲐᲘᲗᲠᲘᲜᲝᲡ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐᲜ ᲝᲛᲨᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲘᲪᲐᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲡ. ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲒᲠᲝᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐᲡ. ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲮᲣᲗᲛᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲨᲔᲐᲤᲔᲠᲮᲔ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ ᲓᲐᲓᲒᲐᲜᲘᲚᲘᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲔᲡᲘᲐ.

ᲓᲦᲔᲡ ᲙᲠᲔᲛᲚᲨᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲔᲡᲘᲐ.

ᲡᲔᲡᲘᲐᲡ ᲒᲐᲡᲬᲜᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲛ, ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲛᲐ **Ა. Ა. ᲐᲜᲓᲠᲔᲔᲕᲛᲐ.**

ᲐᲛᲮᲜᲐᲒᲛᲐ Ა. Ა. ᲐᲜᲓᲠᲔᲔᲕᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲥᲕᲔᲧᲜᲐ ᲘᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲜᲣᲡᲮᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲔᲡᲘᲐᲖᲔ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲘᲚᲕᲔᲚᲐᲓ.

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲛᲐ ᲜᲐ. ᲡᲡ. ᲑᲠᲣᲨᲜᲝᲕᲛᲐ ᲨᲔᲛᲝᲘᲢᲐᲜᲐ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲔᲡᲘᲘᲡ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲨᲘ ᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲝᲡ.

ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲔᲠᲗᲮᲛᲐᲓ ᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲡ:

1) ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ 1938 ᲬᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ.

ᲨᲔᲛᲝᲐᲥᲕᲡ ᲡᲡᲠᲙ ᲡᲐᲮᲙᲝᲛᲡᲐᲑᲭᲝᲡ.

2) ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ „ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ, ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔ ᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“.

ᲨᲔᲛᲝᲐᲥᲕᲡ ᲡᲡᲠᲙ ᲡᲐᲮᲙᲝᲛᲡᲐᲑᲭᲝᲡ.

3) ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ.

4) ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡᲐ „ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“.

ᲨᲔᲛᲝᲐᲥᲕᲡ ᲡᲡᲠᲙ ᲡᲐᲮᲙᲝᲛᲡᲐᲑᲭᲝᲡ.

5) ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡᲐ „ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲠᲐᲢᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲔᲜᲝᲜᲡᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“.

ᲨᲔᲛᲝᲐᲥᲕᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲡ.

6) ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡᲐ „ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲗᲐ ᲪᲮᲔᲠᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“.

ᲨᲔᲛᲝᲐᲥᲕᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲛᲓᲔᲑᲚᲝ ᲒᲐᲜᲖᲠᲐᲮᲣᲚᲝᲑᲐᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲡ.

7) ᲡᲠᲣᲚᲚᲐᲓ-ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲒᲐᲛᲝᲛᲤᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲨᲔᲛᲝᲐᲥᲕᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲨᲔᲛᲝᲐᲥᲕᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲡ.

8) ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲔᲡᲘᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲓᲔᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ.

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ **Ი. Ი. ᲡᲘᲓᲝᲠᲝᲕᲘᲡ** ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗ, ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲐᲚᲔᲑᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐᲡ — ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ 1938 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲩᲔᲠᲓᲔᲑᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲠᲝᲔᲑᲔᲑᲖᲔ. ᲘᲒᲘ ᲛᲝᲐᲒᲝᲜᲔᲑᲡ ᲪᲓᲔᲚᲝᲑᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲛᲡᲬᲠᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲡᲛᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ ᲛᲝᲛᲓᲔᲑᲘ ᲪᲐᲚ-ᲪᲐᲚᲙᲔ ᲞᲐᲚᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ — ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ. ᲐᲛᲘᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲔᲡᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

1938 ᲬᲚᲘᲡ 10 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

9 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲯᲐᲠᲛᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘ ᲘᲔᲠᲘᲨᲔᲑᲘ ᲛᲝᲘᲢᲐᲜᲐ ᲖᲐᲝᲡᲔᲠᲜᲐᲘᲡ (ᲩᲐᲜᲙᲣᲤᲘᲜᲘ) ᲛᲐᲦᲚᲝᲑᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲩᲕᲔᲜ ᲯᲐᲠᲡ ᲣᲙᲐᲕᲘᲐ. ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲯᲐᲠᲘ ᲣᲙᲣᲙᲪᲔᲣᲚ ᲘᲥᲜᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲖᲐᲠᲐᲚᲘᲗ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲯᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲖᲦᲕᲐᲖᲔ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲐᲜᲙᲣᲠᲘᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲯᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠ

კ. ს. სტანისლავსკის დაკრძალვა

9 აგვისტოს დილის 8 საათიდან კ. ს. სტანისლავსკის კუბოსაკენ მიემართება სამგლოვიარო პროცესია. დედაქალაქის მშრომელები კვლავ განუწყვეტელ ნაკადად მოდიან. საბჭოთა კავშირის მრავალი ქალაქიდან ჩამოვიდნენ ხელოვნების მუშაკთა დელეგაციები, რათა უკანასკნელი ვალი მოიხადონ სცენის დიდი ოსტატის წინაშე. საბჭოთა ხელოვნების გამოჩენილმა ოსტატებმა — დავით ოისტრახმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ე. ა. სტეპანოვამ და რუსეთის სფსრ დამსახურებულმა არტისტმა ა. ი. ბატურინმა სამგლოვიარო მელოდიები და ჰანგები შეასრულეს კუბოსთან.

14 საათზე და 10 წუთზე უკანასკნელ სპპატიო ყარაულში დგებიან სსრ კავშირის სახალხო არტისტები მოსკვინი, კაჩალოვი, ტარხანოვი, ტარასოვა, ხმელევი. გამოთხოვების უკანასკნელი წუთებია. კუბოსთან თავს იყრიან განსვენებულის ნათესავები და ახლობლები, მწერლები ალექსი ტოლსტოი, ტრენევი, ლეონოვი, ფედინი, ხუროთმოძღვრები — ვესწინი და იოფანი, მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის უხუცესი მსახიობები. 15 საათსა და 30 წუთზე სახალხო არტისტებს მოსკვინს, კაჩალოვს, ტარხანოვს, ხმელევს და სხვებს ქუჩაში გამოაქვთ კუბო კ. ს. სტანისლავსკის ცხედრით. წინ წითელი ხავერდის ბალიშებზე სათუთად მიაქვთ ორი ორდენი, რომლებითაც დაჯილდოებული იყო სტანისლავსკი. სამხატვრო თეატრის მისასვლელში, რომელიც სავსეა ხალხით, გუგუნით ისმის მარშის ხმები ტრაგედია „ჰამლეტიდან“, რომლის დადგმა ასე ბრწყინვალედ განახორციელა კ. ს. სტანისლავსკიმ.

რამდენიმე უბანზე გაშლილი სამგლოვიარო კორტეჟი ნოვოდევიჩის სასაფლაოსაკენ მიემართება. აქ, ანტონ პავლეს-ძე ჩეხოვის საფლავის გვერდით, გათხრილია ახალი საფლავი, სადაც დაიკრძალება სტანისლავსკი. 17 საათსა და 30 წუთზე იხსნება სამგლოვიარო კრება.

სსრ კავშირის მთავრობის სახელით რუწეთის სფსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს გენიალური მხატვრის, საბჭოთა ინტელიგენციის ერთერთი საუკეთესო წარმომადგენლის დაკარგვის გამო, რომელიც ასე მხურვალედ და გულწრფელად უყვარდა საბჭოთა ხალხს და აფასებდა კიდეც.

კონსტანტინე სერგეის-ძის მთელი მოღვაწეობა, — ამბობს ამხ. ბულგანინი, — ხალხთან იყო დაკავშირებული. მისი გარდაცვალების ამბავმა მოსახლეობის უფართოესი ფენები შესძრა. ასეთი პოპულარობა სტანისლავსკიმ მოწინავე რეალისტური ხელოვნებისათვის ნახევარსაუკუნოვანი ბრძოლით მოიპოვა.

ოქტომბრის დიდი რევოლუციის შემდეგ კიდევ უფრო ბრწყინვალედ გაიფურჩქნა მისი ნიჭი, იგი ნამდვილი საბჭოთა მოქალაქე გახდა, რომელსაც მგზნებარედ უყვარდა ჩვენი სამშობლო და სძულდა მისი მტრები. იგი კარჩაკეტილი არ იყო, საბჭოთა თეატრის მომავალზე ფიქრობდა და დაუღალავად ამზადებდა მისთვის კადრებს. საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად შეაფასა კონსტანტინე სერგეის-ძის დამსახურება და დაასაჯილდოვა იგი ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენით.

სამხატვრო თეატრის ერთერთმა დამაარსებელმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკომ სთქვა:

— კონსტანტინე სერგეის-ძე სტანისლავსკის კუბოსთან ფიცსა ვსდებთ ისეთივე დიდი სიყვარულით მოვეპყრათ სამხატვრო თეატრს, როგორითაც მას სტანისლავსკი ეპყრობოდა.

გრძნობით აღსავსე სიტყვა წარმოსთქვა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვ. ი. კაჩალოვმა. იგი კითხულობს გულის სიღრმეში ჩამწვდომ სიტყვებს კ. ს. სტანისლავსკის დაბადების 70 წლისთავზე ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის მიერ გაგზავნილი მისალმებიდან.

ხელოვნების საქმეთა სრულიადსაკავშირო კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. მ. ბ. ხრაპჩენკო, მოსკოვის სამუხრუჭო ქარხნის საინსტრუმენტო საამქროს სტახანოველი ვ. ი. მალკოვი და სტანისლავსკის სახელობის სტუდიის ახალგაზრდა მოწაფე გ. რევო ლაპარაკობენ უდიდესი დანაკლისის შესახებ, იმ ადამიანის გარდაცვალების შესახებ, რომელიც უყვარდათ არა მარტო ხელოვნების მუშაკებს, არამედ ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელსაც. სტანისლავსკის მემკვიდრეობა ცოცხალია და მრავალი წლის განმავლობაში იცოცხლებს.

მისი საუკეთესო ძეგლი იქნება საბჭოთა კულტურის, საბჭოთა თეატრისა და ხალხური შემოქმედების შემდგომი აყვავება.

სამგლოვიარო კრება თავდება. გაისმის სამგლოვიარო მარში. კუბოს ნელა უშვებენ საფლავში. (საკდესი).

კ. ს. სტანისლავსკის ხსოვნის საღამო

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო 11 აგვისტოს ხელოვნების მუშაკთა სახლში აწყობს საღამოს, მიძღვნილს კონსტანტინე სერგეის-ძე სტანისლავსკის ხსოვნისადმი.

ხელოვნების ოსტატები ვამოვლენ სცენაზე მოგონებებით სცენის გენიალურ მხატვარ და ოსტატ კ. ს. სტანისლავსკისთან შეხვედრების შესახებ. მათ შორის მოგონებებით გამოვლენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ა. ვასაძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ა. რ. წუწუნავა, დამსახურებული არტისტი შ. ღამბაშიძე, რეჟისორი გ. ჟურული და სხვ. (საქდესი).

ექიმები, რომლებიც თბილისიდან მიემგზავრებიან რაიონებში სამუშაოდ. სურათზე: მარცხნიდან—მარჯვნივ მ. მატიაშვილი, ელ. ხელაია, ევ. ბესსონოვა და ვ. რუსია. ფოტო—რ. აკოფოვისა

სამკურნალო დაწესებულებათა სასოფლო ქსელს — კვალიფიციური კადრები

ო. ნ. თოდაძე
სახ. სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარი

გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის დიადი სტალინური კონსტიტუცია, ჩვენი ბრძოლისა და გამარჯვების ეს უდიდესი, ღირსშესანიშნავი დოკუმენტი, მთელი სისრულით უზრუნველჰყოფს მშრომელი ხალხის ჯანმრთელობის დაცვას.

მეფისა და უბადრუკი მენშევიკების ბატონობის დროს საექიმო დახმარება ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ბურჟუაზიისათვის, გახრწნილი თავადაზნაურობისათვის, მშრომელი ხალხი კი ექიმებისა და წამლების აძარა იყო მიტოვებული.

ექიმებისა განსაკუთრებით სოფლად თარეშობდნენ, ვინაიდან მაშინ სოფელში ექიმი არ მოიპოვებოდა. მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის თავს არავინ იწუხებდა.

ჯანმრთელობის დაცვის საქმის აყვავება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო. ამჟამად ჩვენ გვაქვს მრავალი კარგად მოწყობილი საქალაქო და სასოფლო საავადმყოფო და საექიმო პუნქტი.

შეიძლება ითქვას, რომ საქალაქო საავადმყოფოები ძირითადად უზრუნველყოფილია სათანადო კვალიფიციური კადრებით. მაგრამ სოფლად ასეთი მდგომარეობა როდია. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სოფლად მივაელწიოთ მომზადებული, კვალიფიციური ექიმები, რომლებიც სათანადო საექიმო დახმარებას აღმოუჩენენ მშრომელთ და უზრუნველჰყოფენ მათი ჯანმრთელობის დაცვას.

საქართველოს ბოლშევიკთა მებრძოლი ხელმძღვანელი ამხანაგი ლ. ბერია საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობაზე ამბობდა: „მშრომელი მასების ჯანმრთელობის დაცვის დაყენების საქმის ამ მნიშვნელოვან წარმატებათა მიუხედავად, რომლებიც მიღწეულია საქართველოში, უნდა ითქვას, რომ მთელ რიგ რაიონებში ხალხის ჯანმრთელობის დაცვა და სამკურნალო დახმარება არასაკმაოდ არის ორგანიზებული.

თუ საქართველოს დიდ ქალაქებში და განსაკუთრებით თბილისში თავმოყრილია ექიმთა უდიდესი რაოდენობა, რაც საგრძნობლად აღემატება მოსახლეობის საჭიროებას, მთელი რიგი რაიონები განიცდიან სამედიცინო მუშაკების, პირველ რიგში, კვალიფიციური ექიმების ნაკლებობას“.

ამხანაგ ლ. პ. ბერიას ამ სიტყვების საფუძველზე ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა გადასცდა პრაქტიკული ნაბიჯები სასოფლო სამკურნალო დაწესებულებების კადრებით უზრუნველსაყოფად.

არიან ექიმები, რომლებიც დიდი აღფრთოვანებით მიდიან სოფლად სამუშაოდ, მათ სურთ დაუმტკიცონ პარტიას და ხელისუფლებას, რომ ისინი მზად არიან მთელი თავიანთი ცოდნა და გამოცდილება მოახმარონ მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვასა და განმტკიცებას. ასეთებია: ი. კვანტალიანი, ა. ლორთქიფანიძე, ე. შუბლაძე, პ. პუგოვიშნიკოვა, ს. არგუტიანი, ნ. წერეთელი, ა. აფაქიძე, ე. ბერძენიშვილი, ვ. რუსია, მ. ნასიძე, ე. ბესსონოვა, მ. მატუხოვი, თ. შავგულიძე, ე. თოფურია, ნ. კრიველშეევა, ე. ხელაია, ე. კაზაროვა და სხვ.

ცნობილია, რომ სახელმწიფო დიდძალ ფულს ხარჯავს ექიმების მომზადებაზე. ხოლო ზოგიერთი, ამთავრებს რა უმაღლეს სასწავლებელს, უარს აცხადებს სოფლად სამუშაოდ წასვლაზე, რაც ყოვლად დაუშვებელია.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი ცდილობს კვალიფიციური ექიმების რაც შეიძლება მეტი რაოდენობა გაიგზავნოს სოფლად სამუშაოდ.

საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობის რეზოლუციაში გარკვევით არის აღნიშნული, რომ „აღმოიფხვრას ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები, უზრუნველყოფილ იქნას სამკურნალო დაწესებულებათა სასოფლო ქსელის კვალიფიციური სამედიცინო პერსონალით და გაუმჯობესებულ იქნას მშრომელთა სამედიცინო მომსახურების ხარისხი“...

ყრილობის დადგენილების ეს ნაწილი სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს ავალებს უახლოეს ხანში აღმოფხვრან ის ნაკლოვანებები, რაც გვაქვს ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. ბოლშევიკურად უნდა შევასრულოთ პარტიისა და ხელისუფლების დავალებანი, უზრუნველვყოთ სამკურნალო დაწესებულებათა სასოფლო ქსელი კვალიფიციური სამედიცინო პერსონალით, რათა გავაუმჯობესოთ მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვა.

ალფრთოვანებით მივდივარ

პარტია და საბჭოთა ხელისუფლება უდიდეს ყურადღებას აქცევენ კადრების მომზადებას და მათს გაზრდილებას საჭიროების მიხედვით.

სოფლად სამკურნალო დაწესებულებებში ექიმების გაგზავნა ფრიად მნიშვნელოვანი საქმეა. საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობაზე ამხანაგი ლ. ბერია ხაზგასმით აღნიშნავდა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს და განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებდა სოფლად სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებაზე.

1937 წელს ფრიადზე დაავამთავრე თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის საექიმო ფაკულტეტი, რის შემდეგ დაახლოებით ერთ წელიწადს ვმუშაობდი ერთერთი საავადმყოფოს ქირურგიულ კლინიკაში, სადაც სათანადო გამოცდილება მივიღე.

მივდივარ რა სოფლად სამუშაოდ, შევეცდები მთელი ჩემი ცოდნა და გამოცდილება მოვახმარო სოციალისტური მინდვრების ენტუზიასტთა ჯანმრთელობის დაცვასა და გაძლიერებას.

ექ. ვ. რუსია

ვიმუშავებ ერთგულად

პარტიისა და ხელისუფლების დახმარებით მივაღწიე რა საბჭოთა ექიმის წოდების მიღებას, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ბოლომდე ვემსახურო მშრომელი ხალხის ჯანმრთელობის დაცვას, ქალაქად იქნება ეს თუ სოფლად.

როგორც ექიმს მე რაიონში მუშაობის 5 წლის სტაჟი მაქვს. ამჟამად ოჯახით მოწყობილი ვარ თბილისში, სამუშაოთაც კმაყოფილი ვიყავი, მაგრამ მიუხედავად ამისა, როდესაც გავიგე, რომ საჭიროა სოფლად ექიმების მივლინება სამკურნალო დაწესებულებათა სასოფლო ქსელის განსამტკიცებლად, მე რაიონში სამუშაოდ წასვლის სურვილი განვაცხადე.

საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობაზე ამხანაგი ლ. ბერია, აღნიშნავდა რა სამკურნალო დაწესებულებათა სასოფლო ქსელის მუშაობაში არსებულ მთელ რიგ ნაკლოვანებებს, ამასთან ერთად მოითხოვდა სოფლად სამედიცინო მომსახურების გადაჭრით გაუმჯობესებას და კვალიფიციური ექიმების ქალაქიდან რაიონებში გაგზავნას.

მთელი ჩემი ენერგიით ვიმუშაებ ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის და ვიქნები მშრომელთა ჯანმრთელობის ერთგული დარაჯი.

ექ. ელ. ხელაია

ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობა ჩამორჩა

(ზუგდიდი, „ქომუნისტის“ სპეც. კორრესპონდენტისაგან)

ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობას მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა აქვს ზუგდიდის რაიონის მიერ ჩაის კრეფის საგეგმო დავალების შესრულებაში. მას 800 ჰექტარი ჩაის პლანტაციები აქვს. გეგმით წელს მეურნეობამ სახელმწიფოს უნდა მისცეს 837.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

თვალი რომ ჩავადევნოთ ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მაჩვენებლებს ჩაის კრეფის სეზონის დაწყებიდან დღემდე მეტად არადამაკმაყოფილებელ სურათს მივიღებთ. შესრულების მრუდე თვეების მიხედვით დაბლა ეშვება. მაისში გეგმა (184.140 კილოგრამი) მეურნეობამ შეასრულა 107,7 პროცენტით, ივნისში (133.920 კილოგრამი)—70,1 პროცენტით, ივლისში კი (192.510 კილოგრამი) — 64,9 პროცენტით.

აგვისტოში მეურნეობას დავალიანება გადმოჰყვა 84 ტონამდე. ამ დანაკლისის მიმატებით მეურნეობამ აგვისტოში უნდა მოკრიფოს 292.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. ეს რაოდენობა სამუშაო დღეებზე რომ გავანაწილოთ, გამოდის—ყოველდღიურად უნდა იკრიფებოდეს 14.000 კილოგრამი ფოთოლი. ეს მინიმუმია იმისათვის, რომ აგვისტოს გეგმა შესრულდეს.

აგვისტოს პირველი ხუთდღიური ისე გავიდა, რომ მეურნეობას დღიური დავალება არ შეუსრულებია. ჩამორჩენის მთავარი მიზეზია მუშახელის ნაკლებობა და დიდი დენადობა, რაც იმის შედეგია, რომ მეურნეობაში არ არის შექმნილი სათანადო საყოფაცხოვრებო პირობები მუშათა კადრების დასამაგრებლად.

გეგმის შესასრულებლად საჭიროა ყოველდღიურად სამუშაოზე გამოდიოდეს 1.120 მკრეფავი. ივლისში კი სამუშაოდ გამოჰყავდათ 480 კაცი.

მაშასადამე, მეურნეობა თავისი საკუთარი ძალებით ვერავითარ შემთხვევაში თავს ვერ დააღწევს გარღვევას, თუ რაიონმა მას დამხმარე მუშა-ხელი არ მიაშველა.

მუშა-ხელის სიმცირე განა მარტო კრეფაზე ახდენს გავლენას, ამის შედეგად ჩამორჩენილია სხვა სამუშაოებიც. 344 ჰექტარ პლანტაციაში აგვისტოს პირველ რიცხვებში შეუტანელი იყო სასუქის მეორე დოზა. მეორე კულტივაცია ჩატარებული იყო 466 ჰექტარზე, მესამე კი მხოლოდ 137 ჰექტარზე.

გაითვალისწინა რა მეურნეობის ასეთი მდგომარეობა, რაიონულმა ხელმძღვანელობამ გადასწყვიტა ზემოთ ხსენებული ადგილებიდან, სადაც ჩაი არ შენდება, და იმ კოლმეურნეობებიდან, რომლებმაც გეგმა შეასრულეს, კოლმეურნეები დაახმაროს საბჭოთა მეურნეობას. მაგრამ მარტო ეს საქმეს არ შველის.

დროა მეურნეობის ხელმძღვანელობამ რადიკალური ღონისძიებები განახორციელოს იმისათვის, რომ მეურნეობა დაკომპლექტებულ იქნას მუშათა მუდმივი კადრებით.

მეურნეობის წინაშე მთელი სიმწვავით დგას მუშათა ბინების საკითხი. საბინაო მშენებლობა მეურნეობაში ფაქტიურად მივიწყებული უბანია. 1936 წელს დაწყებული 8 თვალი სახლის მშენებლობა წელსაც არ არის დამთავრებული. ყოველად უმსგავსოდ მუშაობს „კვებმშენი“. სავაჭრო ორგანიზაციის უხეირო მუშაობაც ხელს უწყობს მუშათა დენადობის გაძლიერებას. სავაჭროებში ასორტიმენტის შერჩევას ყურადღებას არავინ აქცევს.

მუშათა ასეთი სისტემატური დენადობა ხელს უშლის სტახანოვური მოძრაობის გაშლას, სტახანოველთა გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, სტახანოველთა გამრავლებას.

რაიონული ხელმძღვანელობა ყოველნაირად ცდილობს გააჯანსაღოს ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშაობა, მაგრამ თვით მეურნეობის კოლექტივს (დირექტორი — ამხ. ცხადაია) ჰმართებს მეტი მონდომება და დარაზმულობა მის წინაშე მდგომი ამოცანების გადასაჭრელად.

ზ. გიორგაძე

ღღეში 232,6 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი

ჭობულეთის რაიონის სოფელ ბოთაოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირის სახელობის მეორე ბრიგადის წევრმა კომკავშირელმა ასლან ჯემალის-ძე კონცელიძემ, 6 აგვისტოს მოჭრილი 232,6 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. მან ღღიური ნორმა შეასრულა 1.163 პროცენტით და ვამოიმუშავა 17,4 შრომადღე.

საკ. ალკა ოცი წლისთავისადმი

გასჯრონომმა უნდა გაჩდაქმნას მუშაობა

მთავარ გასტრონომის საქართველოს რესპუბლიკურმა სამმართველომ ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნა მუშაობა. შემოწმებით გამოირკვა, რომ საწყობებში დიდძალი საქონელია ჩაწოლილი, როგორიცაა მაგალითად პაპიროსი, სპირტი, მურაბა და სხვ. ხშირია შემთხვევა, როდესაც საწყობში საქონელი არის, ხოლო ეს საქონელი მაღაზიებში არ მოიპოვება და მასზე დიდი მოთხოვნილებაა. ზოგიერთი მაღაზიის დირექტორი ნაკლებად ზრუნავს იმაზე, რომ მაღაზიები უზრუნველჰყოს ფართო მოთხოვნილების პროდუქტებითა და ხილბოსტნეულით (როგორიცაა: ყველი, ხორცეული, ძეხვეულობა, ხილბოსტნეული და ს.ხ.). ტრანსპორტის უხეირო მუშაობის გამო მაღაზიებში დღემდე მოუწესრიგებელია საქონლის მიწოდება, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულისა, მაღაზიებს პროდუქტები ნაკლები რაოდენობით ეძლევათ, რაც უარყოფის გავლენას ახდენს საქონელბრუნვის გეგმების შესრულებაზე. მაღაზიებში ჯერ კიდევ არაა დამყარებული სავაჭრო წესრიგი და დისციპლინა. ხშირად ერთმანეთში არეული სხვადასხვა ასორტიმენტის საქონელი.

მთავარ გასტრონომის რესპუბლიკურმა სამმართველომ ნახევარი წლის განმავლობაში, ნაცვლად გათვალისწინებული 38.370 ათასი მანეთის პროდუქციისა, რეალიზაცია უყო მხოლოდ—36.718 ათასი მანეთის პროდუქციას, რაც გეგმის 95,7 პროცენტს შეადგენს.

გამფლანგველთა საქმეების გარჩევას ხშირად სასამართლო ორგანოები არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას, ხოლო მთავარ გასტრონომის სამმართველო ნაკლებად ზრუნავს გამფლანგველთა საქმეების გარჩევის დაჩქარების შესახებ. ზოგიერთ გამფლანგველზე წელთა განმავლობაში სწარმოებს კვლევა-ძიება. დამამზადებელმა ზესტაფონის რაიონიდან—ი. ტურაბელიძემ ჯერ კიდევ 1937 წელს გაფლანგა 23.000 მანეთი, ბ. აგაჯანოვმა და მუსხელიშვილმა (თბილისი) გაფლანგეს 13.800 მანეთი, დამამზადებელმა ლაგოდეხის რაიონში ვ. ჩიკვაიძემ გაფლანგა 21.300 მანეთი, 1938 წლის პირველ ნახევარში თბილისის მე-10 მაღაზიის სექციონერმა—გ. გიორგაძემ გაფლანგა 13.500 მანეთი.

ცუდად მუშაობენ გასტრონომის მთელი რიგი მაღაზიები, პირველ რიგში ეს ითქმის მაღაზია № 1-ლის (კიროვის ქუჩაზე) შესახებ, რომელმაც ნახევარი წლის საქონელბრუნვის გეგმა მხოლოდ 90 პროცენტით შეასრულა (დირექტორი — გ. ავეტისოვი), ცუდად მუშაობენ აგრეთვე ბათუმის (შესრულება—86,8 პროცენტი, დირექტორი—ა. ბალაევი) და ფოთის (შესრულება—67.2 პროცენტი, დირექტორი—დ. თაბერიძე) მაღაზიები, რომლებმაც ვერ უზრუნველჰყვეს მაღაზიის მომარაგება ფართო მოთხოვნილების პროდუქტებით. ამაში ბრალი მიუძღვის გასტრონომის სამმართველოსაც, რომელმაც ფოთისა და ბათუმის მაღაზიებს დროულად არ მიაწოდა საქონელი.

ზოგიერთ მაღაზიაში ადგილი აქვს მომხმარებლის ზომა-წონაში მოტყუებას. გასტრონომის № 1 მაღაზიაში სექციონერმა ბუხიაშვილმა მეორე ხარისხის ოევზი გაჰყიდა პირველი ხარისხის ფასად. სექციონერმა გ. კარახანიანმა (მაღაზია № 10) ნაცრობ მეგობრებისათვის გადამალა 10 კილო ბრინჯი.

ზოგ მაღაზიას არ აქვს კვერცხის ელექტრო სასინჯი, მაღაზიის მომუშავეებს არ ეძლევათ სპეცტანსაცმელი და სხვ.

გასტრონომის სისტემაში არიან კარგი მაღაზიები, რომლებმაც ნახევარი წლის საქონელბრუნვის გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს, მაგალითად: № 7 მაღაზიამ გეგმა 100,2 პროცენტით შეასრულა (დირექტორი—ს. გურული). № 8 მაღაზიამ—110,8 პროცენტით (დირექტორი—მ. ალიხანოვი), № 4 მაღაზიამ—107,2 (დირექტორი—ელ. მახარაძე) და სხვ.

ცალკეულ მაღაზიებში არიან ვაჭრობის ენტუზიასტები—სტახანოველები. ესენი არიან: ალექსანდრა ვარამაშვილი (მაღაზია № 3), გ. სარჯისოვი (მაღაზია № 4), გ. მაცაბერიძე (მაღაზია № 1), და სხვები, რომლებიც გეგმებს ვაჭრობის დარგში სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებენ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გასტრონომის ხელმძღვანელებს სტახანოველები და წარჩინებულები გამორჩათ მხედველობიდან, ისინი ერთხელაც არ დაუჯილდოვებიათ.

ადგილებზე ნაკლები ყურადღება ექცევა მომუშავეთა კულტსაყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, სავაჭრო დარგის მუშაკები არ მიჰყავთ ექსკურსიებზე, კინოში, თეატრში, მასობრივ დასვენება-გასართობებზე და სხვ.

დასახელებული ნაკლოვანებანი დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას.

მ. სურგულაძე

აგრ. გალ. მინდაძე

ორდენოსანი საქართველო საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გაჭიანურებულ გამოფენაზე უნდა გვჩვენოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის უდიდესი გამარჯვებანი, რომლითაც ვუპატრონებთ საბჭოთა კავშირის ხალხს და კერძოდ მსოფლიო მუშათა კლასის ბელადს, ჩვენს მშობლიურ დიდ სტალინს.

საქართველოს რესპუბლიკური სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კომიტეტის მიერ დამტკიცებული და წარდგენილია სრ.-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის სულ—873 კანდიდატი (კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, ბრიგადირები, კოლმეურნეები, საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმები), მათ შორის ჩაის კულტურის დარგში მომუშავე—138 კანდიდატი; ციტრუსებისა—89; ბაჭრის ჭარხლისა—18; მევენახეობისა—10; მეშინდვრეობისა—101; მეაბრეშუმეობისა—399 კანდიდატი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სას.-სამ. საგამოფენო კომიტეტის მიერ ამა თუ იმ დარგის საკანდიდატო მაჩვენებლები არ არის კარგად დამუშავებული. მაგალითად, საქართველოს მევენახეობიდან დამტკიცებულია მხოლოდ 10 კანდიდატი, ეს იმ დროს, როდესაც მეშინდვრეობიდან 101 კანდიდატია შერჩეული. საქართველოს ღვინო და ვენახი ცნობილია მთელ საბჭოთა კავშირში და ამიტომ ადგილებზე მაჩვენებლების ზუსტი შერჩევა-დამუშავების საფუძველზე მევენახეობის დარგიდან მეტი კანდიდატი უნდა წარდგენილიყო სრ.-საკავშირო სას.-სამეურნეო გამოფენაზე. ამისათვის საჭირო არის მევენახეობის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მაჩვენებლების დამუშავების დროს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ვაზის ხნოვანებას, ჯიშსა და მის დაავადებას (ფილოქსერით და სხვ.). ცხადია, დიდი ხნის დაავადებული ვენახის მოსავალი ძლიერ შეამცირებს კოლმეურნეობის სრულ მოსავლიან ვაზის საშუალო მოსავალს ჰექტარიდან, როგორც ამას ჰქონდა ადგილი ასურეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში (ალბუდაღის რაიონი) და მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში (თბილისის რაიონი). გარდა ამისა, ახალციხის რაიონის მარცვლეულის 10 კოლმეურნეობა და ახალქალაქის რაიონის 2 კოლმეურნეობა საკანდიდატო მაჩვენებლებს არასწორად დამუშავების გამო შეტანილი არ იყო კანდიდატთა სიაში. ამჟამად საგამოფენო კომიტეტის მიერ ეს შეცდომები გამოსწორებულია. სრულიად-საკავშირო სას.-სამ. საგამოფენო კომიტეტის მიერ კანდიდატთა შერჩევის დროს არ იყო მითითებული დიფერენცირებული მიდგომა (ადგილმდებარეობის, კულტურებისა და ჯიშების მიხედვით), რაც კანდიდატების სწორად შერჩევის საქმეში უარყოფით გავლენას ახდენს.

სრ.-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მრავალი კოლმეურნეობა სარეკორდო მაჩვენებლებით წარსდგება. მაგალითად, ჭუთაისის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობამ 1936 წ. ერთ ჰექტარ ჩაის პლანტაციიდან საშუალოდ მიიღო 2.148 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ხოლო 1937 წ. 5.424 კილოგრამი. ქობულეთის რაიონის, სოფ. დაგვის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ გასულ წელს ერთ ჰექტარ ფართობიდან საშუალოდ მიიღო 4.574 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად 1936 წ. 3.260 კილოგრამისა. ჩაის ფოთლის მოსავლის შესანიშნავი მაჩვენებლები მოპოვებულ აქვთ საბჭოთა მეურნეობებსაც. მაგალითად, ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის თალაკაძის და სემიკალხოვას ბრიგადაში ერთ ჰექტარიდან მიიღეს 7.042 და 7.180 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი; მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის № 4 ბრიგადაში 7.828 კილოგრამი, აგრეთვე ქობულეთის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა № 1 ბრიგადაში (ბრიგადირი დ. ყიფხელიძე) 1937 წ. ერთი ჰექტარიდან მიიღეს 5.410 კილოგრამი ჩაის ფოთლის მოსავალი.

სრ.-საკ. სას.-სამ. გამოფენის კანდიდატობის სარეკორდო მაჩვენებლებს იძლევა აგრეთვე ციტრუსოვან კულტურებიდან მახარაძის რაიონის სოფ. მერიის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც ერთ ჰექტარ მანდარინის ნარგავიდან გასულ წელს თვითეული ხიდან საშუალოდ მიიღო 1048 ცალი ხარისხოვანი მანდარინის ნაყოფი, ნაცვლად 1936 წ.—413 ცალისა. ბათუმის რაიონის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა სულეიმან-კაზი-ოღლიმ თვითეული ხიდან საშუალოდ მიიღო 3.676 მანდარინი და თვითეული ხიდან სარეკორდო მოსავალი 7.500 ცალი მანდარინი.

კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბრის“ (ბათუმის რაიონი) ბრიგადირმა ოსმან ფურტენაძემ ბრიგადაში თვითეული ხიდან საშუალოდ მიიღო 3.000 ცალი მანდარინი.

ლანჩხუთის რაიონის „კომინტერნის“ სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე წევრმა—ექვთიმე ნაკაიძემ ხიდან საშუალოდ მიიღო 2.800 ცალი მანდარინი. მან მოიპოვა სრ.-საკავშირო სას.-სამ. გამოფენის კანდიდატობის უფლება. თავი ისახელეს აგრეთვე ციხიჯვრის საბჭოთა მეურნეობის მწველავმა-ქალმა სოფიო ბარძიმაძემ, რომელმაც თვითეული საფურაჟე ძროხიდან წლიურად საშუალოდ მიიღო 2.800 ლიტრი კარგი ხარისხის რძე, ხოლო მუსა დურსუნ-ოღლიმ (ბაშკიჩეთის საბჭოთა მეურნეობა)—3.549 ლიტრი რძე.

საუკეთესო შედეგებს მიაღწია ციხიჯვრის საბჭოთა მეურნეობის მეხბორე იასონ ელიოსიძემ ნამატის საუკეთესო მოვლაში. მაგალითად, დღე-ღამის განმავლობაში თვითეულ ხბოზე (6 თვემდე) მიიღო 707 გრამი ნამატი.

საქართველოს რესპუბლიკური საგამოფენო კომიტეტის მიერ გამოფენის კანდიდატებად წარდგენილი არიან ლაგოდეხის მტს-დან ტრაქტორისტი ლევან ნადირაძე, რომელმაც მსუბუქ ხვნაზე გადაყვანით გასულ წელს მოხნა 756 ჰექტარი, ისიდორე ნადირაძე—725 ჰექტარი და ვ. გოგოლაძე—804 ჰექტარი. თელავის მტს-დან ტრაქტორისტი ა. წულუკიძე, რომელმაც მოხნა 712 ჰექტარი და ფ. კაჭკაჭიშვილი—738 ჰექტარი.

კარგი მაჩვენებლებით წარსდგება სრ. - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე აგრეთვე ჩაქვის ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობა, რომელმაც 1936 წ. ჰექტარიდან საშუალოდ მიიღო 2.510 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი და გასულ წელს კი—2.823 კილოგრამი. ლესიჩინის საბჭოთა მეურნეობა (ჩხოროწყუს რაიონი), მან 1936 წ. მიიღო 3.066 კილოგრამი და 1937 წ.—3.072 კილოგრამი მწვანე ჩაის ფოთოლი ჰექტარიდან. აგრეთვე ლაითურის კიროვის სახელობის საბჭოთა მეურნეობა, რომელმაც გასულ წელს ჰექტარიდან მიიღო 2.426 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ყურძნის სარეკორდო მოსავალი გვიჩვენა სოფ. იაღოულის (ჩოხატაურის რაიონი) კოლმეურნეობამ „შრომის გზა“, რომელმაც ჰექტარიდან მიიღო საშუალოდ 88,9 ცენტნერი კარგი ხარისხის ყურძენი, აგრეთვე კოლმეურნეობამ „წითელი მარანი“, რომელმაც ჰექტარზე მიიღო 70,9 ცენტნერი ყურძენი.

თამბაქოს კარგი მოსავლით თავი

პარტიული ცხოვრება

განუხრელად განვახორციელოთ მიღებული გადაწყვეტილებანი

(მესტია, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

ლატალის სასოფლო საბჭოსთან არსებული პირველადი პარტორგანიზაციის (პარტორგი—ვ. გირგვლიანი) მუშაობა საანგარიშო-საარჩევნო კრებამ სუსტად ჩასთვალა და არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი.

ამ ღონისძიებათა განხორციელებით პარტორგანიზაცია რაიონში მოწინავე რიგებში ჩადგა. საანგარიშო-საარჩევნო კრების შემდეგ პარტიაში მიღებულია 12 კაცი. პარტიული კრებები მომზადებულად ტარდება, გაიზარდა კომუნისტების აქტივობა. კომუნისტებს ეძლევათ კონკრეტული დავალებანი, სწარმოებს კრებებზე მიღებულ დადგენილებათა და კომუნისტებისათვის მიცემულ დავალებათა შესრულების შემოწმება. უკეთ არის დაყენებული ბოლშევიზმის დაუფლების საქმე. თუ საანგარიშო-საარჩევნო კრებამდე ადგილი ჰქონდა პოლიტმეცადინეობის სისტემატურად ჩაშლას, ამჟამად ეს ნაკლი აღმოფხვრილია.

მაგრამ მთელი რიგი პირველადი პარტორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელები სუსტად მუშაობენ კრებებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებისათვის. მაგალითად, მესტიის საბჭოსთან არსებულ პირველადს პარტორგანიზაციაში (პარტორგი—მ. რატიანი), სადაც საანგარიშო-საარჩევნო კრებამ პარტორგანიზაციის მუშაობა სუსტად ჩასთვალა, მდგომარეობის გამოსასწორებლად დასახული ღონისძიებანი ქაღალდზე დარჩა. ჩამორჩენა კვლავ გრძელდება. კომუნისტებს არ ეძლევათ კონკრეტული ხასიათის დავალებანი, არ სწარმოებს მათი შესრულების შემოწმება. პარტიის რიგებში არცერთი ახალი წევრი არ მიუღიათ. პარტიული სწავლება თითქმის ჩაშლილია. პროპაგანდისტი ზ. მარგიანი დროის უქონლობით „იმართლებს“ თავს. ხოლო პირველადი პარტორგანიზაცია ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად არავითარ ზომას არ იღებს.

ბ. ქოგალია

საქ. კ. პ. (ბ) ლენინის რაიკომის პარტკაბინეტის გამგე ამხ. მ. ხუჭუა (მეორე მარცხნიდან) აძლევს კონსულტაციას პროპაგანდისტებს (მარცხნიდან): ი. შავლაძეს, ბ. პიგანაშვილს, ტ. კვალაშვილს, სკაბუნიას, შორეულ-აღმოსავლეთის საზღვარზე, ხასანის ტბის რაიონში მომხდარ ამბების შესახებ.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

ვსწავლობთ ბოლშევიზმის გმირულ ისტორიას

მოლოტოვის სახელობის ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკის პარტორგანიზაციამ საგრძნობ წარმატებებს მიაღწია პოლიტსწავლების დარგში. ჩვენს პარტორგანიზაციასთან ოთხი პოლიტწრე არსებობს. პარტისტორიის შემსწავლელ რუსულ წრეში (პროპაგანდისტი — ამხ. აზატიანი) მეცადინეობს 13 კაცი. აქედან უმრავლესობა აქტივისტია. ზოგიერთი მათგანი დაწინაურებულია საამქროს უფროსად (მაგალითად, მ. კირვალიძე) ხოლო ბრიგადირად დავაწინაურეთ ამხ. ა. კარაკოზოვი.

პარტისტორიის შემსწავლელ წრეში (პროპაგანდისტი კ. არჯევანიძე) ჩაბმულია 20 მსმენელი. აქედან უმრავლესობა აქტიურად მეცადინეობს. ეს ამხანაგები კარგად ითვისებენ გავლილ მასალას და სათანადოდ ერკვევიან თეორიულ საკითხებში.

დიდი მიღწევები აქვს პარტიულ ორგანიზაციას პარტიის ზრდის საქმეში. პარტიაში მიღების განახლების მომენტიდან პარტიის რიგებს შეემატა 59 პარტწევრკანდიდატი, მარტო 1938 წელს პარტიაში მიღებულ იქნა 48 კაცი, ყველა სტახანოველი: მათგან 7 ქალია.

გვყავს საკუთარი პროპაგანდისტები, რომლებიც პოლიტსკოლებს ხელმძღვანელობენ. ჩვენი პარტიული კომიტეტი ყურადღებით სწავლობს რიგითი პარტიის წევრებს და ეხმარება მათ იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაში, რათა მომამზადოს კადრები საჭიროების დროს დასაწინაურებლად.

კ. დარახველიძე

აკაკი მელქაძე აღდგენილია პარჯიაში

ამხ. აკაკი მელქაძე მუშაობდა სახვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ და თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებდა.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომში იმ დროს მოკალათებულმა ხალხის მტრებმა განიზრახეს მისი განადგურება. მათ შესთითხნეს ცილისმწამებლური ბრალდებები: მელქაძე ხალხის მტრის კაციაო,—გაიძახოდნენ: მოითხოვეს მისი გარიცხვა პარტიიდან. შრომის სასახლის პარტიულმა კომიტეტმა ვერ გამოიჩინა საჭირო სიფხიზლე და ბრალდებათა სათანადოდ შეუმოწმებლად გარიცხა პარტიიდან უდანაშაულო კომუნისტი ა. მელქაძე.

ხალხის აწ უკვე გამომჟღავნებულმა და განადგურებულმა მტრებმა იმდენი მოახერხეს, რომ გაზ. „კომუნისტის“ გასული წლის 15 აგვისტოს № 185-ში მოთავსებულ იქნა წერილი, რომელშიაც ამხ. მელქაძე ხალხის მტრად და მავნებლად არის გამოყვანილი.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგიამ საქართველოში გულდასმით განიხილა ამხ. აკაკი ნიკოლოზის-ძე მელქაძის საქმე, მისდამი წაყენებული ბრალდებები უსაფუძვლოდ სცნო და აღადგინა იგი პარტიის რიგებში. ამხ. მელქაძემ უკვე მიიღო პარტიული ბილეთი და სამუშაოზეც მოეწყო.

აფხაზეთის ბუნებრივი სიმდიდრენი

აფხაზეთში ბევრი ბუნებრივი სიმდიდრეა. ეს კუთხე ცნობილია არა მარტო სახელგანთქმული კურორტებით (გაგრა, ფსირცხა, გულრიპში, სოხუმი და სხვ.), ციტრუსების, თამბაქოს, ჩაის მაღალხარისხოვანი მოსავლით, არამედ ქვანახშირითაც, ტყვია-თუთიის, პოლიმეტალების, ბარიტის, თაბაშირის, ლითოგრაფიული ქვის, ცარცის დიდი საბადოებითაც. გარდა ამისა, როგორც გამოკვლევებიდან სჩანს, აფხაზეთში არის ნავთის საბადოებიც.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ტყვია-თუთიის საბადოების სიხშირე. აფხაზეთის მთებში უხვად მოიპოვება ტყვია და თუთია. თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობით ცნობილია ძიშრა-ბრძიშხის საბადოები. ისინი აღმოჩენილ იქნენ ჯერ კიდევ 1860 წელს.

ძიშრა-ბრძიშხის საბადოებმა აღმოჩენის დღიდანვე მიიპყრეს ცალკეულ კაპიტალისტ-მძარცველთა ყურადღება, ისინი საბადოების დათვალიერებლად ჰგზავნიდნენ თავიანთ ხელქვეითებს, მაგრამ იმის გამო, რომ ამ სიმდიდრის გატაცება არც ისე ადვილი იყო გზის უქონლობის გამო, ხოლო გზების გაყვანა და საწარმოს კეთილმოწყობა მძარცველებს არ აინტერესებდათ, ისინი ყოველთვის თავს ანებებდნენ ამ მეტად მდიდარი საბადოების დამუშავებას.

ძიშრა-ბრძიშხის საბადოებს, როგორც მთელ ამიერ-კავკასიაში ტყვია-თუთიის ყველაზე დიდ საბადოებს, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ქვეყნისათვის, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიექცა ყურადღება. დაწყებულ იქნა აღნიშნული საბადოების გამოკვლევა-შესწავლა. გეოლოგთა პირველი ექსპედიცია აქ 1932 წელს მოვიდა. ექსპედიცია პირველი დღეების მუშაობის შედეგებითვე დარწმუნდა ამ ბუდობის დიდ პერსპექტივაში. ამის შემდეგ კვლევითი მუშაობა აქ არ შეჩერებულა. მაგრამ არ შეიძლება დუმილით ავუაროთ გვერდი იმას, რომ დღემდე კიდევ საქართველოს და აფხაზეთის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატებს, აგრეთვე ამიერ-კავკასიის გეოლოგიურ ტრესტს არ მიუღიათ ყველა საჭირო ზომები ძიშრა-ბრძიშხის საბადოების საფუძვლიანად შესწავლისათვის და მათი ექსპლოატაციის დაჩქარებისათვის. ასეთი დიდმნიშვნელოვანი საბადოს დამუშავების შეფერხება უნდა აიხსნას ადგილობრივი მრეწველობის ცალკეულ მუშაკთა უყურადღებობითა და დაუდევრობით.

ტყვია-თუთიის საბადოები არის ლიხტის მთაშიც. თუმცა ეს საბადოები ჯერ კიდევ სათანადოდ არაა შესწავლილი, მაგრამ იმ კვლევის შედეგებმა, რომელიც აქ ჩაატარა მეცნიერების აკადემიის ექსპედიციამ 1933 წელს, დაგვანახეს, რომ ლიხტის მთაც მეტად დიდი მარაგის მქონე საბადოს წარმოადგენს. ტყვია-თუთიის საბადოები აფხაზეთში სხვა ადგილებშიც მოიპოვება, მაგრამ არც ადგილობრივი და არც სათანადო ცენტრალური ორგანოები მათი შესწავლისა და დამუშავების დაჩქარებას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ. აფხაზეთის ტყვია-თუთიის, ვერცხლისა და თითბერის საბადოებისადმი ასეთ დანაკიდებულებას საზღვარი უნდა დაედოს.

სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ბარიტის წარმოებასაც. ბარიტის მდიდარი საბადო აფხაზეთში ოთხია. ამათგან დამუშავების თვალსაზრისით ყველაზე უკეთესი პირობები აქვს ბზიბის საბადოს (გაგრა), იგი მდებარეობს გზატკეცილზე. ასე, რომ მადნის გამოზიდვისათვის პირობები კარგია. მიმდინარე წელს აღნიშნულმა საბადომ უნდა მოგვცეს პირველი ბარიტი აფხაზეთიდან. გარდა ამისა, ბარიტი უხვად არის ძდინარე ბაკლანოვკის სათავეებში (გუდაუთის რაიონი), აგრეთვე მდინარე მოქვის ბასეინში (ოჩამჩირის რაიონი), მდინარეების ულისის და ბასეკვარის სათავეებში. თავის მხრით ულისის და ბასეკვარის საბადოები ეკუთვნიან მოქვის ბარიტს, რადგან, როგორც წინასწარი კვლევითი მუშაობიდან სჩანს, წარმოადგენენ მისი ფენების გაგრძელებას. ბარიტის მეოთხე დიდი საბადოა ოქუმში (გალის რაიონი) სოფ. ოქუმზე ხუთი კილომეტრის მოშორებით. აღნიშნული საბადოების შესწავლაც ჯერ კიდევ ნელი ტემპით მიმდინარეობს.

როგორც თავისი ხარისხით, ისე მარაგით, დიდ ყურადღებას იქცევს ლითოგრაფიული ქვის საბადო. ლითოგრაფიული ქვა აფხაზეთში პირველად იპოვნეს 1934 წელს გაგრის რაიონში, მაგრამ შესწავლას შემდეგ იგი მდარე ხარისხისა აღმოჩნდა. ცოტახნის შემდეგ გუმისთაში აღმოჩენილი საბადოს ქვა შემოწმებულ იქნა მოსკოვში სპეციალური კომისიის მიერ და იგი შუა-ეოცენის ლითოგრაფიულ ქვასთან ერთად ცნობილ იქნა ყველაზე უკეთეს ლითოგრაფიულ ქვად მთელ საბჭოთა კავშირში. 1936 წელს აღნიშნული საბადოს შესწავლას ხელი შეუწყო მინერალური ნედლეულობის სრულიად-საკავშირო ინსტიტუტმა, და სწორედ აქ გაიყინა აფხაზეთის ლითოგრაფიული ქვის შესწავლა-დამუშავების შემდგომი წინსვლა. აგერ მეორე წელია და ინსტიტუტს გადამჭრელი სიტყვა არ უთქვამს. როგორც აფხაზეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საწარმოო ძალთა სექტორის მეცნიერ-მუშაკებმა გადმოგვცეს, ინსტიტუტის მიერ შემოწმებაზე წაღებული ქვები აღებულ იქნა ზედაფენაზე, აგრეთვე ისინი ცუდად იყო დამუშავებული და მეორე შემოწმებაზე სათანადო შედეგები ვეღარ მოგვცეს, ხოლო ინსტიტუტის ხელმძღვანელ მუშაკებს შემდეგ აღარ შეუწუხებიათ თავი იმისათვის, რომ ნამდვილად შეესწავლათ აფხაზეთის ლითოგრაფიული ქვა, რომელმაც პირველი ავტორიტეტული პრაქტიკული შემოწმების დროს სამართლიანად დაიმსახურა სსრ კავშირში საუკეთესო ქვის სახელი.

აფხაზეთის თაბაშირს დიდი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით საქართველოსათვის. რადგანაც თაბაშირის მრეწველობა საქართველოში არ არის, უკრაინიდან ყოველწლიურად შემოგვაქვს 20 ათასი ტონა თაბაშირი. თაბაშირის დიდი საბადოებია აფხაზეთში—ქვეზანში და სამეგრელოში—ხუდონში. პირველის უპირატესობა იმაშია, რომ იგი ახლოა რკინიგზასთან (5 კილომეტრი). აგრეთვე ახლოა ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროებთან, ტყვარჩელის თბოელექტროსადგურთან. გარდა ამისა, ეს უკანა გაშენებული, დასახლებული ადგილია, იმ დროს, როცა ხუდონის საბადო რკინიგზას დაშორებულია 44 კილომეტრით და ტონა თაბაშირის ნედლი მასალის ზუგდიდამდე გამოტანა 80 მანეთი ჯდება. ქვეზანის თაბაშირი კი 3-ჯერ უფრო იაფი ჯდება. თაბაშირის მაღარო დღემდე ზუსტად არ არის გამორკვეული.

მიუხედავად თაბაშირის განსაკუთრებული მნიშვნელობისა, საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს ჯერ კიდევ სერიოზულად არ მოუკიდნია ხელი ამ სამადნის წესრიგში მოყვანისა და იქ მუშაობის უახლოეს ხანში გაჩაღებისათვის. ზემოჩამოთვლილ მადნეულობათა დროზე და საფუძვლიანად შესწავლას და დამუშავების დაწყებას აფერხებს ადგილობრივი მრეწველობის მუშაკთა უყურადღებობა.

განსაკუთრებით მწვავედ უნდა დაისვას აფხაზეთის ტყვია-თუთიის საბადოებზე მუშაობის რაც შეიძლება მალე დაწყების საკითხი. აგრეთვე სერიოზული მუშაობა უნდა ჩატარდეს ვერცხლისა და სპილენძის საბადოების ზუსტად შესწავლისა და მარაგის გამორკვევისათვის. ასევე უნდა დაჩქარდეს სხვა ბუნებრივ სიმდიდრეთა შესწავლა-დამუშავება.

ზ. მერკვილაძე

სისტემაჟურად ვამოწმებთ დადგენილებათა შესრულებას

ანასეულის ჩაის და სუბტროპიკულ კულტურათა მეურნეობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პარტორგანიზაციაში 52 პარტწევრ-კანდიდატი ირიცხება. ინსტიტუტში ჩამოყალიბებულია პარტისტორიის შემსწავლელი 2 წრე, პოლიტკოდნის 2 სკოლა და 16 აგიტწრე.

ინსტიტუტს თავისი საცდელი მეურნეობისათვის აქვს ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები, ლაბორატორიები და ჩაის საცდელი ფაბრიკა, რომელიც ყოველწლიურად 300 ათას კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს ამუშავებს.

ახლა ჩვენს გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს ისე მოვაწყოთ პარტიული მუშაობა, რომ შევასრულოთ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებები და ამხანაგ ლ. ბერიას ვითიოებები, რომლებიც მან ჩვენს ინსტიტუტს საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობაზე დაუსახა:

„უნდა მივაღწიოთ იმას, რათა ინსტიტუტმა გარდაჰქმნას თავისი მუშაობა იმ მიმართულებით, რომ მან დახმარება გაუწიოს ჩვენს სამიწათმოქმედო ორგანოებს ჩაის და ციტრუსების მოსავლიანობის გადიდების საკითხთა გადაჭრაში, ბრძოლა აწარმოოს პლანტაციების მავნებლებთან, მოაწყოს ციტრუსების სწორი გამოზამთრება და სხვ. საჭიროა ინსტიტუტმა კარგად მოაწყოს თავისი მეცნიერ-თანამშრომლების მუშაობა და ამავე დროს გამოიყენოს მოწინავე კოლმეურნეთა გამოცდილება“.

ჩვენი პარტორგანიზაცია ენერგიულად იბრძვის ამ დავალების შესასრულებლად.

პარტიული კომიტეტის სხდომებზე და საერთო პარტიულ კრებებზე ხშირად ვიხილავთ როგორც პარტიულ-მასობრივ მუშაობის, ისე ინსტიტუტის სამეცნიერო მუშაობის საკითხებს.

ყოველი დადგენილების შესრულების სისტემატურმა შემოწმებამ ჩვენს პარტიულ ორგანიზაციას დიდი დადებითი შედეგი მისცა. ჩვენს ინსტიტუტში ყველა მომუშავემ იცის, რომ მიღებულ დადგენილებას განსაზღვრულ ვადაში პარტკომი შეამოწმებს და შეუსრულებლობის შემთხვევაში პასუხს მოსთხოვს იმას, ვისაც დადგენილების განხორციელება ევალებოდა.

პარტკომმა გასული წლის 16 ოქტომბერს განიხილა ის საკითხი, თუ როგორ სრულდება საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 7 აგვისტოს დადგენილება—ასპირანტების სწავლებისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ. პარტკომმა აღნიშნა, რომ დადგენილება შესრულებული არ იყო, და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი მის შესასრულებლად. ამა წლის 31 იანვარს თავის სხდომაზე პარტკომმა შეამოწმა 16 ოქტომბრის დადგენილების შესრულება, რისთვისაც მოისმინა დირექტორის მოხსენება. გამოირკვა, რომ საქმეში პარტკომის ჩარევის შედეგად ასპირანტების სწავლება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, ასპირანტები მიმაგრებულ იქნენ თავისი სპეციალობის მიხედვით პროფესორებზე და შედგენილ იქნა მათთვის სამუშაო გეგმა, რომლის მიხედვით ტარდება მეცადინეობა.

ჩვენმა პარტიულმა კომიტეტმა მიმდინარე წლის 16 ივლისის სხდომაზე განიხილა ის საკითხი, თუ როგორ მუშაობს ჩაის საცდელი ფაბრიკა თემატიკურ გეგმასთან დაკავშირებით 1938 წლის 27 მაისის დადგენილების შესასრულებლად. წინანდელ დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ ინსტიტუტის დირექციამ და ჩაის საცდელი ფაბრიკის ხელმძღვანელობამ არ მოაწყეს დანადგარები ცდების ჩასატარებლად, სამეცნიერო მუშაობის ორ ქვეთემას ჩაშლა მოელოდა. შემოწმებამ გვიჩვენა, რომ პარტკომის მიერ მიღებულმა ღონისძიებებმა ნაყოფი გამოიღო. ინჟინერ-ტექნოლოგებმა (ამხ. სკორინმა, აშიანმა და სხვ.) პასუხისმგებლობა იგრძნეს და მიცემულ ვადაში ცდების ჩატარება დაიწყო.

პარტკომმა 1938 წლის 9 ივლისს შეამოწმა, თუ როგორ მუშაობს თავის თავზე თანამგრძნობთა ჯგუფში მიღებული ამხ. ქობულაძე. თუ მანამდე ამხ. ქობულაძე ხშირად აცდენდა პოლიტსკოლის მეცადინეობას და არ ამზადებდა თემას, დადგენილების შესრულების შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ ის ახლა მეცადინეობას არ აკლდება და თემასაც კარგად ამზადებს.

ჩვენი პარტიული ორგანიზაციის დადგენილებები ქაღალდზე როდი რჩება, არამედ ისინი ცხოვრებაში ტარდება, ხდება მათი შესრულების სისტემატური შემოწმება.

დადგენილებათა შესრულების შემოწმება პარტიული მუშაობის კანონია. ჩვენმა პარტკომმა ამ კანონის სწორად გაგებით და გამოყენებით შესძლო საგრძნობლად გაეუმჯობესებინა პარტიული მუშაობა.

ზ. ადამია

ანასეულის ჩაისა და ციტრუსოვანთა მეურნეობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პარტკომის მდივანი.

აგრ. ტრ. თოდრაძე

ევკალიპტი

ორდენოსანი საქართველოს სუბტროპიკული რაიონების მცენარეთა შორის ევკალიპტი მეტად საპატიო ადგილს იჭერს. პარტიისა და ხელისუფლების დადგენილებით 1940 წლისათვის, ნაცვლად არსებული 2.500.000-მდე ძირისა, ევკალიპტის ნარგავი ჩვენში აყვანილ იქნება 10.000.000 ძირამდე. აქედან მარტო მიმდინარე წელს ევკალიპტი გაშენდება 2.770.000 ძირი, ე. ი. იმაზე ბევრად მეტი, რაც ამ კულტურის ჩვენში შემოტანის დროიდან თითქმის 60 წლის განმავლობაში გაშენდა. გარდა ამისა, კოლხიდის ზოლის კოლმეურნეობებში ევკალიპტი წელს გაშენდება 18 ჰექტარზე მეტი, რისთვისაც თვითეულ ჰექტარზე მშრომელებს ეძლევათ გრძელვადიანი სესხი 625 მანეთი, სულ კი 11.250 მანეთი.

რით არის ევკალიპტი შესანიშნავი, რა მიზნით შენდება ეს მცენარე ჩვენში? ევკალიპტი მარად-მწვანე მცენარის ერთერთი თითქმის ყველაზე სწრაფად მოზარდი ჯიშია მსოფლიოში. დამტკიცებულია, რომ ევკალიპტი ათჯერ უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მუხა და ხუთჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე წაბლი (ხშირად ორი წლის ხე ადგზე მაღალია). ევკალიპტს აქვს ხშირი და ტოტოვანი გვირგვინი, რის გამოც ის ძალიან ეფექტურად იცავს ნიადაგს ეროზიისაგან, ამცირებს ქარისა და ზოლების მოსაწყობად ჩაის, ციტრუსების, ზომიერი ჰავის ხეხილის და ბევრი სხვა მცენარის დასაცავად.

გარდა ამისა, ევკალიპტის მერქანი მეტად ლამაზია (თეთრი, ყვითელი, წითელი, ფერადი, ზოლებიანი და სხვ.), მტკიცე და მაგარია (წყალზე უფრო მძიმეა), არ ჭიანდება, დაუზიანებლად ძლებს 25 წელიწადს და მეტსაც. ძვირფასია ავეჯეულობისათვის, ყოველგვარი სადურგლო სამუშაოებისათვის. ევკალიპტს არ ეშინია სინესტის და ნელად ლპება. ამიტომ ჯარგია მისგან წისქვილზე და წყლისქვეშა მასალადაც, რკინიგზის შპალებად და ნავსადგურის მოსაწყობად, ვაგონებისა და გემთა მშენებლობისათვის, ხიდებისა და სახლებისათვის, ბინების შიგნითა მოწყობილობისათვის, აგრეთვე ტელეგრაფისა და ტელეფონის ბოძებად, ხომალდის ანძებად, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისათვის, პარკეტისა და ქუჩის ფილაჭინისათვის, მაღალხარისხოვანი ქაღალდისა (შეიცავს 42 პროცენტამდე ცელულოზას) და ნახშირის მისაღებად.

ევკალიპტის ქანი და ფოთლები მდიდარია ტანინით, თრიმლოვანი ნივთიერებით, რაც ძვირფასია, მაგალითად, ტყავის გამოსაყვანად (ქანში თრიმლოვანი ნივთიერება 7-45 პროცენტამდეა, ფოთოლში კი 5-16-მდე).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ევკალიპტის დადებითი მნიშვნელობა ხესტიანი ადგილებისათვის. ევკალიპტი აშრობს სინესტეს. ფესვებს შორს უშვებს, სიფრიფანა ფოთოლი ალმაცერად აქვს დახრილი, რაც დაჩრდილვას ამცირებს, თვით მცენარე წყალს ძალიან ბევრს იშრობს, ბევრს აორთქლებს, რაზედაც დამოკიდებულია ჩქარი ზრდა და ადგილის ამოშრობა, კოლოს მოსპობა და ამის შედეგად მალარიის გაქრობა. გარდა ამისა, მჭროლავი ნივთიერება, რომელიც ევკალიპტის ფოთლებიდან და ნორჩი ყლორტებიდან გამოდის, ჰაერზე ჰქმნის ძლიერ სადეზინფექციო და ლობის საწინააღმდეგო შემადგენლობებს.

ევკალიპტი ცნობილია აგრეთვე, როგორც ეშვიათი სილამაზის დეკორატიული მცენარე ბაღებისა და პარკების მოსაწყობად, სკოლების, საავადმყოფოების, ეზოების, გზებისა და ქუჩის პირების დასამშვენებლად.

ევკალიპტი ნიადაგის პირობებს (თუ ნორმალური სინესტე და საკვები არ აკლია) ადვილად იტანს. ზოგიერთი ჯიში უძლებს 12 გრადუსამდე ყინვას, ზოგჯერ მეტსაც.

წელს ჩვენში გაზაფხულზე უნდა დარგულიყო 1.300.000 ძირი ევკალიპტი. გარდა ამისა, შემოდგომამდე უნდა დაირგოს 1.470.000 ძირი და დაითესოს 550 კილოგრამი თესლი. ამ მიზნით მარტო თესლის შესაძენად კოლმეურნეობებს სესხად მიეცათ 136.920 მანეთი, ხოლო სათბურების მშენებლობისათვის — 393.597 მანეთი.

როგორია სამუშაოთა მიმდინარეობა, როგორ სრულდება გეგმები? ლიმონ-მანდარინის ტრესტის საბჭოთა მეურნეობებმა ევკალიპტის გაშენების მიმდინარე წლის პირველი ნახევრის ვალდებულება გადაჭარბებით შეასრულეს. ჯერ კიდევ მაისის ბოლო რიცხვებისათვის ნაცვლად 9,3 ჰექტარისა ევკალიპტი დარგეს 10,8 ჰექტარზე, ხოლო აგვისტოს პირველი რიცხვებისათვის 17,4 ჰექტარზე.

ასევე გადაჭარბებით შეასრულეს გეგმები მთელმა რიგმა რაიონებმა. მაგალითად, ფოთში 1 აგვისტოსათვის, ნაცვლად 175.000 ძირისა დარგული იყო 382.000 ძირი ევკალიპტი და კვლავ განაგრძობენ ამ მუშაობას. მსგავსი მდგომარეობა მახარაძის, აბაშის, ცხაკაიას, წულუკიძის, ჩოხატაურის და ზოგიერთ სხვა რაიონში,—ევკალიპტს რგავენ დიდი მონდომებით, გეგმებს დიდი ხანია გადააჭარბეს. მაგალითად, ცხაკაიას რაიონმა უკვე გადაჭარბებით შეასრულა ევკალიპტის გაშენების როგორც გაზაფხულის, ისე შემოდგომის გეგმები,—დარგო 153,1 ათასი ძირი ევკალიპტი.

მაგრამ ყველგან ასეთი მდგომარეობა როდია. სამტრედიის, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის, ლანჩხუთის, ზუგდიდის და ხობის რაიონებში, აგრეთვე აჭარასა და აფხაზეთში ევკალიპტის დარგვა-გაშენება სამარცხვინოდ არის ჩამორჩენილი. ლანჩხუთში ევკალიპტის დარგვის გეგმა 1 აგვისტოსათვის მხოლოდ 40,6 პროცენტით შეასრულეს, ნაცვლად 90.000 ძირისა დარგეს მხოლოდ 36.500 ძირი. ზუგდიდის რაიონშიც 70.000 ძირის ნაცვლად 38.500 ძირი დარგეს. სამტრედიაში, ნაცვლად 70.000 ძირისა—30.000. ასეთივე მდგომარეობაა ჩხოროწყუს, გეგეჭკორისა და ხობის რაიონებში.

წელს აფხაზეთში მარტო გაზაფხულზე უნდა დარგულიყო 300.000 ძირი, მაგრამ გეგმა 1 აგვისტოსათვისაც არ იყო შესრულებული — დარგული იყო მხოლოდ 124 ათასი ძირი.

რით ამართლებენ აფხაზეთში ამ ჩამორჩენას?—წინათ წვიმებმა შეგვიშალა ხელი, ახლა კი სიცხეები გვაბარკლებსო, აცხადებენ. ნამდვილად, გეგმის შეუსრულებლობის მიზეზი ზრომის მოუწესრიგებლობა და ევკალიპტის კულტურის შეუფასებლობაა. ევკალიპტის დარგვა-გაშენება თვითდინებაზეა დანდობილი, არც მტს-ებს, არც მიწგანებს უშუალოდ ევკალიპტზე მომუშავე სპეციალისტები არა ჰყავთ, ხოლო აფხაზეთის მიწსახკომმა ევკალიპტის გაშენების საკითხებზე, მიიღოს იმას, რომ უახლოეს წლებში ევკალიპტის ხეები იყოს დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული რაიონების თვითეულ კოლმეურნეობაში, თვითეულ საკარმიდამო ნაკვეთზე, ქუჩებში, ბულვარებში, მოედნებზე, სკოლებთან და დაწესებულებებთან, ყველა ქალაქსა და სოფელში“.

აჭარისა და აფხაზეთის ასსრ მიწსახკომების, სუბტროპიკული რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, პარტიული და უპარტიო ბოლშევიკების, სპეციალისტების, სტახანოველების, მეურნეობათა ხელმძღვანელების, თვითეული მუშაკის მოვალეობაა მაქსიმალურად გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა და პირობები, რათა სანმუშოდ შეასრულოთ საქართველოს ბოლშევიკთა ხელმძღვანელის ამხანაგ ლ. ბერიას მითითებანი ევკალიპტის კულტურის განვითარების შესახებ, კერძოდ, წელს შემოდგომაზე, მიმდინარე თვის ჩათვლით, ევკალიპტი გავაშენოთ არანაკლებ 1.470.000 ძირისა, ხოლო 1940 წლისათვის საერთო რაოდენობა ავიყვანოთ 10.000.000 ძირამდე, უზრუნველვყოთ ევკალიპტის ნარგავ-ნათესების საუკეთესოდ დაცვა და ნორმალური ზრდა-განვითარება.

ევკალიპტის ხე

ჩვენ გვწერენ

მუშათა კულტსაყოფაცხოვრებო პირობებს ყურადღებას არ აქცევენ

(ზესტაფონი, საკ. კორესპონდენტისაგან)

ფეროშენადნობთა ქარხანაში (დირექტორი ამხ. ვ. კეკელიძე) მუშათა კულტსაყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას არასაკმაო ყურადღება ექცევა.

№ 1 ბარაკის ოთახებში 29 მუშა ცხოვრობს, მათგან უმრავლესობა სტახანოველი და დაჯილდოებულია. ამ ბარაკს დირექცია სანმუშოს უწოდებს მაშინ, როცა საკმაო რაოდენობით არ არის ტანისამოსის შკაფები, არ არის რადიო და ექიმების მიერ არავითარი საუბარი არ ჩატარებულა.

უარესია მდგომარეობა № 18 საცხოვრებელ ბარაკში. ორივე ოთახში უსუფთაობაა, არ მოიპოვება სკამები და ტანისამოსის შკაფები. სპეცტანსაცმელი მუშებს კედლებზე უკიდიათ.

კლუბი (გამგე ბ. ბაზაძე) მუშებს კულტურულ მომსახურებას სრულიად არ უწევს. მესამე წელია, რაც მიმდინარეობს კლუბის რემონტი, რომლის დამთავრებას დასასრული არ უჩანს. კლუბთან არსებული ოთახი წრიდან მხოლოდ ერთი (სიმებიანი) წრე მუშაობს. დანარჩენი წრეების შექმნისა და ამოქმედებისათვის კლუბის გამგეობას პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებია. კლუბში არ ეწყობა ლექციები, ხოლო კინო-სურათის ჩვენებას აქ შემთხვევითი ხასიათი აქვს.

საკლუბო მუშაობისათვის გათვალისწინებული თანხების რაოდენობა კლუბის გამგეობამ არ იცის, ის დირექციის დაფინანსებაზეა დამოკიდებული, ხოლო დირექცია არ იწუხებს თავს შეუქმნას კლუბს ნორმალური მუშაობის პირობები. ასევე ითქმის ქარხკომის თავმჯდომარე—ამხ. ა.კ. ნებიერიძეზედაც.

დროა ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა ხელი მოჰკიდოს ქარხნის მუშათა კულტსაყოფაცხოვრებო პირობების გადაჭრით გაუმჯობესებას.

ვ. გოგიაშვილი

სად არის ვასილ მღებროვი?

ჩემმა უღირსმა მამამ ვასილ მღებროვმა მიატოვა დედაჩემი, დაგვტოვა მთელი ოჯახი ულუკმაპუროდ და სადღაც გადაიკარგა. საქმე სასამართლომ გაარჩია და ვასილ მღებროვს ჩვენს სარჩენად მიუსაჯა ხელფასიდან ყოველთვიურად 15 პროცენტის გადახდა. პირველ ხანებში ალიმენტი მოგვდიოდა, მაგრამ აგერ 3 წელიწადია, რაც ჩემს მამას ჩვენთვის კაპეიკიც არ გამოუგზავნია.

ღონემიხდილმა დედაჩემმა დაუწყო ძებნა უსინდისო მამას, მაგრამ ვეღარსად მიაგნო მის კვალს.

ვთხოვთ ყველა საბჭოთა მოქალაქეს, ვინც იცის სად მუშაობს ვასილ მღებროვი, შეგვატყობინოს, რომ ვაიძულოთ ეს გულქვა ადამიანი გვეგზავნოს ალიმენტი.

ჩვენი მისამართია: სურამი, ლენინის ქ. № 42, ლიდა ვასილის-ასულ მღებროვს.

ლიდა მღებროვი

საომარი მზადება გერმანიაში

პრაღა, 9 აგვისტო (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის პრესას მოჰყავს მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ გერმანიის დიდ სამხედრო მზადებას ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე. ამჟამად ხდება ყველა იმ მეორეხარისხოვანი რკინიგზის შტოების რეკონსტრუქცია, რომლებიც უკანასკნელ წლებში უქმად იყვნენ, ისინი გადაკეთებული იქნება ორლიანდაგიან რკინიგზად. გაძლიერებული ტემპებით აწესრიგებენ მივიწყებულ გზატკეცილებს. სუდეტის ოლქის საზღვართან აგებენ ახალ ავტოსტრადას. უმუშევართა დიდი რიცხვისა და იმ ათეულ ათას მუშათა მობილიზაციასთან ერთად, რომლებიც საფორტიფიკაციო სამუშაოებზე მუშაობენ გერმანიის დასავლეთი საზღვრის გასწვრივ, ავტოსტრადის მშენებლობასა და გზატკეცილების რემონტზე მასობით იყენებენ სუდეტელ გერმანელ მუშებს, რომლებიც ჰენლაინელების მიერ გერმანიაში იგზავნებიან. ეს მუშები ამავე დროს შედიან „სუდეტელ გერმანელთა ლეგიონებში“, სადაც ისინი სამხედრო საქმეს სწავლობენ.

ჩეხოსლოვაკიასთან მოსაზღვრე რაიონების ყველა საწარმოებში სასწრაფოდ შენდება ორი ტიპის გაზსაფარები: ზოგი მაღალი ხარისხისა—ადმინისტრაციისათვის და ზოგი უფრო ცუდი—მუშებისათვის. ჩეხოსლოვაკიის საზღვრის მახლობლად წარმოებულ ყველა სამშენებლო სამუშაოთა დამთავრების ვადად დაწესებულია 31 აგვისტო.

ომისათვის აშკარად მზადება პანიკით იცავს სახაპირო რაიონების მოსახლეობას. ამასთან დაკავშირებით, მეწარმენი, ფაშისტთა მოხელეები და სამხედრო მეთაურები მთელ რიგ ღონისძიებებს ატარებენ საზოგადოებრივი აზრის „დამუშავების“ მიზნით. მიუნხენის სამხედრო საწარმოებში კვირაში ორჯერ ატარებენ მუშათა კრებებს. ერთ-ერთ ამ კრებაზე გამოვიდა გენერალური შტაბის ოფიცერი, რომელმაც აშკარად გააფრთხილა მის მიერ „ზურგის ჯარისკაცებად“ წოდებული მუშები უახლოეს მომავალში ომის შესაძლებლობის შესახებ. მომხსენებელმა მოსთხოვა მუშებს სამხედრო დისციპლინა საწარმოებში, შეწყვეტა ყოველგვარი ეკონომიური ბრძოლისა და ჩივილისა ცუდ მატერიალურ მდგომარეობაზე. დისციპლინის ყოველი დამრღვევი, ყველა, ვინც კი უკმაყოფილებას გამოსთქვამს მთავრობის პოლიტიკის გამო, იმუქრებოდა ოფიცერი, ჩაითვლება როგორც „მესაბოტაჟე“ და გადაეცემა სამხედრო სასამართლოს.

გაძლიერებულ სამხედრო მზადებასთან დაკავშირებით ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე, არალეგალური ანტიფაშისტური ორგანიზაციები აქტიურ მუშაობას ანვითარებენ. მრავალ საწარმოში გაჩნდა არალეგალური ფურცლები, რომლებიც მოუწოდებენ მუშებს ომის გამჩაღებელთა სამხედრო ღონისძიებების საბოტაჟისაკენ. მიუნხენის აღნიშნულ ქარხანაში ამას წინათ გამოკიდული იყო დიდი პლაკატი წარწერით: „ჩვენ არ გვინდა ომი! ჩვენ არ ვიომებთ დემოკრატიული ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ! ჩვენ გვინდა პური, ზომიერი ხელფასი და თავისუფლება!“. მეორე საწარმოში საქსონიაში მუშები სადილობის შესვენებისას გაცხოველებით იხილავდნენ სახალხო ფრონტის ომის საწინააღმდეგო ფურცელს, მიძღვნილს 1 აგვისტოსადმი. ერთმა ძველმა მუშამ ეს ფურცელი თავის საამქროს 45 მუშას წაუკითხა. გესტაპოს ცდა დაეპატიმრებინა ეს მუშა მთელი საწარმოს მუშების წინააღმდეგობას წააწყდა.

პიონერები თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში.

ფოტო ა. ფილიპოვისა

ეკატერინე გაბაშვილის ხსოვნას

7 აგვისტოს ოთხით გარდაიცვალა მხცოვანი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ეკატერინე გაბაშვილი. ქართველ მწერალთა რიგებს მისი სახით გამოაკლდა პროზის ერთერთი შესანიშნავი ოსტატი, ჭეშმარიტი რეალისტი, სახელოვანი მხატვარი.

ეკატერინე გაბაშვილი მწერალთა ძველ პლეადას ეკუთვნის. მისი ლიტერატურული მოღვაწეობის აყვავების პერიოდი მეცხრამეტე საუკუნის მიწურული იყო, თუმცა მას სიკვდილამდე კალმისთვის ხელი არ შეუშვია და ნაყოფიერად, სიყვარულით ემსახურებოდა თავისი შემოქმედებით ქართველ მშრომელ ხალხს.

იგი იყო გამჭრიახი ბელეტრისტი, თავისი კალმით ნიჭიერად ასახავდა მაშინდელი საქართველოს ცხოვრებას, სოციალური უკუღმართობის ყოველგვარ გამოვლინებას. იგი გამოდიოდა ჩაგრული გლეხკაცობის მოსარჩლედ. ეკატერინე გაბაშვილი თავიდანვე გახდა მკითხველთა საყვარელი მწერალი და ეს სიყვარული მისდამი არასდროს არ შენელებულა მკითხველის გულში. იშვიათია ისეთი ქართველი ადამიანი, რომელსაც არ ახსოვდეს გაბაშვილის ნაწარმოებთა გმირები; მისი „მაგდანას ლურჯა“ ქართული ბელეტრისტიკის ბრწყინვალე ნიმუშია.

დიდი დანაკლისია ეკატერინე გაბაშვილის გარდაცვალება ჩვენი საბავშვო ლიტერატურისთვისაც. იგი იყო ბავშვთა საყვარელი მწერალი და მეგობარი. მის მოთხრობებს თაობები კითხულობდნენ.

ილიასა და აკაკის, ვაჟას და ყაზბეგის თანამედროვე ე. გაბაშვილი მოესწრო შრომელი ხალხის გამარჯვებას, მოესწრო ჩვენს ბრწყინვალე სტალინურ ეპოქას, სტალინური კონსტიტუციით გამობარდღეებს.

მშრომელმა ხალხმა, პარტიამ და ხელისუფლებამ ღირსეულად დააფასეს ეკატერინე გაბაშვილის ღვაწლი ქართველი ხალხისა და ქართული ლიტერატურის წინაშე.

საბელოვანი ქართველი მწერალი ქალის შესანიშნავი სახელი დიდხანს დარჩება ქართველი ხალხის ხსოვნაში.

შალვა დადიანი, გალაქტიონ ტაბიძე, ლეო ქიაჩელი, ნინო ნაკაშიძე, ნიკო ლორთქიფანიძე, სიმონ ჩიქოვანი, ილო მოსაშვილი, ალიო მაშამაშვილი, ალექსანდრე ჭუთათელი, აკაკი ბელიაშვილი, ლევან ასათიანი, ირაკლი აბაშიძე, იოსებ გრიშაშვილი, ბესო ყულბაი, შალვა რადიანი, დ. ბენაშვილი, ა. სულავა, რ. გვეტაძე, კ. ბობოხიძე, დემნა შენგელაია, სანდრო ეული, ი. ლისაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, სანდრო შანშიაშვილი, მარიამ გარყუში, მარიჯან, ს. ხიდისთაველი, ელიზბარ პოლუმორდვინოვი.

განსვენებულის ცხედარს გამოასვენებენ მწერალთა სასახლიდან (მაჩაბლის ქ. № 13) დღის 4-ნახევარ საათზე.

მხცოვანი მწერლის, ეკატერინე გაბაშვილის ცხედრის დაკრძალვა მოხდება დღეს, 11 აგვისტოს, მწერალთა პანთეონში — ვაკეში.

ე. გაბაშვილის ცხედრის გამოსვენება

წითელქალაქი. (ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან). გუშინ ეკატერინე გაბაშვილის ცხედრის გასაცილებლად წითელქალაქში ჩამოვიდნენ მწერლები: ს. ეული, ლ. ქიაჩელი, ი. ლისაშვილი. გამოსვენებამდე ეკატერინე გაბაშვილის ბინაზე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. აქ იყვნენ კოლმეურნენი და ერთპიროვნული მეურნენი, მასწავლებლები, მოსწავლენი, რომელნიც უკანასკნელად ეთხოვებოდნენ საყვარელ მწერალს და მასწავლებელს.

5 საათზე ეკატერინე გაბაშვილის კუბო დაასვენეს სასოფლო საბჭოს შენობასთან, სადაც გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი. მიტინგს, რომელიც გახსნა კასპის რაიონული მასკომის თავმჯდომარემ ამხ. სიდამონიძემ, ათასზე მეტი მშრომელი დაესწრო. სამგლოვიარო სიტყვების შემდეგ ეკატერინე გაბაშვილს ცხედარი მანქანით თბილისში წამოასვენეს. წითელქალაქის მშრომელებმა შუამდგომლობა აღძრეს რაიონული ხელისუფლების წინაშე, რათა ახლად გახსნილ საშუალო სკოლას ეწოდოს ეკატერინე გაბაშვილის სახელი და დაარსდეს მისი სახელობის ორი სტიპენდია.

3. მთვრალაშვილი

ამინდი

9 აგვისტოს დასავლეთ საქართველოში იყო ცვალებადი მოღრუბლული ამინდი, ყველგან მოდიოდა მცირე წვიმა. ყველაზე მაღალი ტემპერატურა (33 გრადუსი) აღნიშნული იყო ქუთაისში. ყველაზე დაბალი (28 გრადუსი) — ფოთში.

აღმოსავლეთ საქართველოში იყო მოღრუბლული ამინდი, უმეტეს რაიონებში მოვიდა წვიმა. ყველაზე მაღალი ტემპერატურა (30 გრადუსი) აღნიშნული იყო თბილისში, ყველაზე დაბალი (23 გრადუსი) — ყაზბეგში.

საქართველოს მწერალთა კავშირში

9 აგვისტოს ამხანაგ ა. ჩარკვიანის თავმჯდომარეობით შედგა საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა, რომელსაც დაესწრო მწერალთა აქტივი.

სხდომაზე დასმული იყო საკითხი ზოგიერთი მწერლის უმოქმედობის შესახებ. აღნიშნულ იქნა, რომ ზოგიერთი მწერალი ნაკლებად მუშაობს საკუთარ თავზე, გაურბის მწერალთა კავშირს, სუსტად ეწევიან შემოქმედებითს მუშაობას და სხვ. პრეზიდიუმზე დასმულ იქნა ასეთი მწერლების მწერალთა კავშირიდან გარიცხვის საკითხი. ზოგიერთს გაფრთხილება მიეცა.

პრეზიდიუმმა განიხილა საორგანიზაციო საკითხები — მწერალთა კავშირში ახალი წევრების მიღების შესახებ.

გამოიყო კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურის ისტორიისათვის ქართული ლიტერატურის ისტორიის განყოფილების გეგმა.

კომკავშირის XX წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს მწერალთა კავშირი უშვებს საიუბილეო კრებულს, რომელშიაც მოთავსებული იქნება ქართველი მწერლების ახალი მასალები. ამისათვის გამოიყო სარედაქციო კოლეგია.

პრეზიდიუმზე დაისვა საკითხი ახალგაზრდა მწერალთა შორის მუშაობის გაშლის შესახებ. მწერალთა კავშირს მიეთითა — გააძლიეროს მუშაობა დაშენყებ მწერლებთან. გადასწყდა პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე დასმულ იქნას ჟურნალ „ჩვენი თაობის“ რედაქციის ანგარიში ახალგაზრდა მწერლებს შორის მუშაობის შესახებ.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

11 აგვისტოს:

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი—ინდივიდუალური კონსულტაცია ქართულ ენაზე. კონსულტანტი ამხ. შ. ჯაფარიძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

○

ალკა კაბინეტი—ინდივიდუალური კონსულტაცია პარტიის ისტორიის საკითხებზე. ქართულ ენაზე. კონსულტანტი—ამხ. დ. ყიფშიძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

○

საერთაშორისო პოლიტიკის კაბინეტი—ლექცია თემაზე: — ესპანელი ხალხის გმირული ბრძოლა ფაშისტ მეამბოხეთა და გერმანია-იტალიელ ინტერვენტთა წინააღმდეგ. (კომკავშირისათვის) რუსულ ენაზე, კონსულტანტი ამხ. პავჩინსკი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

○

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ რაიკომის საკრიტიკო განყოფილებაში: ლუბა ბესარიონის-ასული მურცხველაძე, ვარლამ მალაქიას-ძე ყრუაშვილი, ილია მიხეილის-ძე სალიაშვილი, ნიკოლოზ გიორგის-ძე ლაზუტინი, ანდრია ედგარის-ძე ბეჟანოვი, გიორგი მარტინის-ძე ელიზბაროვი, მიხეილ ალექსანდრეს-ძე ჯანიაშვილი, ალექსანდრე თედორეს-ძე ბუჩუკური, იაგორ სიმონის-ძე ივანესოვი, შალვა ალექსის-ძე ქიშმარიაშვილი, ალექსანდრე ბესარიონის-ძე ჭანტარია, ზაქარია გიორგის-ძე რევაზოვი, აბრამ ბეგლარის-ძე სიმონიანი, ივახე ვასილის-ძე მაისაგიშვილი, ლიდა ივანეს-ასული ქუთათელაძე, თამეიზ არტემის-ძე იგითხანოვი, ალექსანდრა გიორგის-ასული ყანდარელი, დავით კონსტანტინეს-ძე გოგიჩაიშვილი, აპოლონ გიორგის-ძე რაზმაძე, დომენტი ლუკას-ძე ხინთიბიძე, ალექსანდრა ბოგდანის-ასული ხერუმიანი, სერგი თედორეს-ძე ხურცილავა.

○

11 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება ყველა ტიპის სკოლების პროპაგანდისტთა სემინარის რიგგარეშე მეცადინეობა თემაზე — „რსდმპ მეორე ყრილობის 35 წლისთავი“. ყველა პროპაგანდისტის დასწრება სავალდებულოა.

○

აგიტაციის კაბინეტი — 1) ლექცია: საბჭოთა ავიაციისა და გმირი მფრინავების შესახებ. ქართულ ენაზე. კონსულტანტი ამხ. გეგია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. 2) ლექცია: პარტიის მეორე ყრილობის 35 წლისთავი. რუსულ ენაზე. კონსულტანტი ამხ. მ. მაჩაიძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი.

„კომუნისტის“ რედაქციასთან არსებული
ქირეული პრესის მუშაკთა კურსების
მსმენელთა მორიგი მეცადინეობა შესდგება რედაქციის შენობაში (რუსთაველის პროსპ. № 16) **დღეს, 11 აგვისტოს, საღ. 8 ს.** მსმენელებს ვთხოვთ გამოცხადნენ დაუგვიანებლივ.

საქფილგეთის საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. 3-18-50

11 აგვისტო ტალონი 72

სტალინგრადის მუს-კომედიის **გასტროლები**

ჰოლანდიელი ქალი

დასაწყისი 9 საათ. და 15 წუთ.

მუდმივი ადგილების მესამე გადასახდელის შეტანა სავალდებულოა.

ღია ესტრადა

11 და 12 აგვისტოს საქფილგეთის ჯაზ-ორკესტრის **კონცერტი** სერგეი ბაბოვის ხელმძღვანელობით. მონაწილეობენ: სახ. ოპერის სოლისტი ორდენოსანი მერი ხაკაშიძე, სახ. ოპერის სოლისტი ბატუ კრავეიშვილი.

დასაწყისი საღ. 10 საათზე. ესტრადაზე შესვლა ბაღში შესასვლელ ბილეთებით.

განცხადებების მიღება
გაზეთებში:
„კომუნისტი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „მუშა“, „პროლეტარი“ და „ენი-ქენდი“
სწარმოებს
დილის 9 საათიდან 2½, ს-მდე
„კომუნისტის“
გამომცემლობაში
რუსთაველის პროსპექტი, № 34.

თმის მკურნალობისა და კოსმეტიკის კაბინეტი მეძიბ ნ. გ. კონტოროვიჩისა
გადავიდა
ელბაჭიძის დაღმართზე (ყოფ. ვერის დაღმ.) № 21. მიღება 12-დან 3-მდე და საღ. 6-დან 8 საათამდე.

კაბინეტი მკურნალობს ძიძიბებს, ფერის-მჭამელას, ჰორჭლს, ტალებს, ნაოჭებს, კანის სიმშრალეს, თმის დაცვენას, ქერტლს, სპობს მეჭეჭებს, ხალებს, ნაჭრილობევს და სახისა და თავის კანის სხვა ნაკლს. 77431

სამგზრესჭი

აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ თავის
მაღაზიებში:
1. ლენინის ქუჩა № 32 და
2. პლეხანოვის პრ. № 95
იღებს ყველა მოცულობის ცალიერ სტანდარტულ ბოთლებს
შემდეგ ფასებში:

ლიტრიანი	1,0—75 კაპ.
ღვინის „ბორდო“	0,75—75 კაპ.
ღვინის	0,5 —50 კაპ.
კონიაკის	0,5 —50 „
არაყის	0,5 —50 „
კონიაკის	0,25—40 „
არაყის	0,25—40 „

ბოთლები უნდა იყოს სუფთა. ნავთიანი, ბენზინიანი, ზეთიანი და სხვ. ბოთლები არ მიიღება. დიდი რაოდენობით ე. ი. 100-ზე მეტი ბოთლის მიღება იწარმოებს ქარხნებში:

ღვინის ბოთლები—ქარხანა № 1-ში პეტრიაშვილის ქ. № 1
„ „ „ № 2 ში გოგოლევის ქ. № 63
კონიაკის არაყის ბოთლების ქარხანა № 4 ლენინის ქ. № 30
ლიქიორის ბოთლები ქარხანა № 3 ელბაჭიძის დაღ. № 12.

1730 **სამტრესტი.**

ანგიშაშისტური დემონსტრაცია ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 9 აგვისტო (საკდესი). გუშინ ქალაქ ლიშენში (ბრნოს მახლობლად) გაიმართა მშრომელი სლოვაკების, გერმანელებისა და უნგრელთა მრავალათასიანი დემონსტრაცია, რომელიც მოაწყო კომპარტიამ. დემონსტრაციას წინ მიუძღოდა „რესპუბლიკის დაცვის რაზმების“ კოლონები, რომლებიც ჩამოყალიბებულია ოლქის დემოკრატიული პარტიების მიერ. დემონსტრანტებს მიჰქონდათ პლაკატები შემდეგი ლოზუნგებით: „ჩვენ არ დავნებდებით!“, „უკანასკნელი სისხლის წვეთამდე!“, „დავიცავთ რესპუბლიკას!“, „ჩვენ თითონ — ინგლისის ლორდების დაუხმარებლად — დავამყარებთ რესპუბლიკაში წესრიგს“ და სხვ.

დემონსტრაციის დასრულების შემდეგ გაიმართა მიტინგი, რომელზედაც სიტყვა წარმოსთქვა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ამხ. გოტვალდმა, გოტვალდს მჭუხარე ოვაციით შეხვდნენ დამსწრენი.

იტალიელთა ავიაციის ბარბაროსული მოქმედება

რომი, 9 აგვისტო (საკდესი). „მესაჯერო“ აქვეყნებს სარაგოსადან მიღებულ ცნობებს, რომლებშიც აღნიშნულია, რომ უკანასკნელ ბრძოლებში ებროს ფრონტზე 25 ივლისიდან 5 აგვისტომდე იტალიელთა ავიაციამ 1672 თავდასხმა მოაწყო და 462 ათასი კილოგრამი ყუმბარა ჩამოჰყარა. მოკლულია 87 და დაჭრილია 63 კაცი. ყუმბარშენამ დაანგრია 300 სახლი.

ჩრდილო ჩინეთში

უცხოელი მოგზაურები, რომლებიც ჩინეთის ჩრდილო ნაწილიდან ჩამოდიან, იუწყებიან, რომ შანსის, ხებეისა და სუიუანის პროვინციებში მრავალი ქალაქი ჩინელების ხელშია. ადგილებზე აღდგენილია ჩინელთა ხელისუფლება, რომელიც ცენტრალურ მთავრობას ემორჩილება.

9 აგვისტოს, დილით, იაპონელთა 20 თვითმფრინავმა კვლავ ყუმბარები დაუშინა კანტონს. უკანასკნელი ცნობებით, ქალაქისათვის ყუმბარების დაშენის შედეგად მოკლულია 100 და დაჭრილია 200 კაცი.

იაპონელთა თვითმფრინავები უკვე რამდენიმე დღეა განუწყვეტლივ უშენენ ყუმბარებს კანტონ-ხანკოუს რკინიგზას და გუანდუნის პროვინციის მრავალ ქალაქს.

ჩეხოსლოვაკიის პრესა გერმანიის არმიის მანევრების შესახებ

პრაღა, 9 აგვისტო (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის გაზეთები ადასტურებენ ცნობას გერმანიის არმიის მანევრების შესახებ, რაც დასახულია 16 აგვისტოსათვის. მანევრებში მონაწილეობას იღებს 1 მილიონზე მეტი კაცი.

საგულისხმოა, რომ ჰენლაინელები გაძლიერებით ემზადებიან მანევრებისათვის. ჰენლაინელთა პარტიის ხელმძღვანელობამ ყველა ადგილობრივ ორგანიზაციას დაუგზავნა საიდუმლო ცირკულარი, რომელშიაც წინადადებას აძლევს მათ 15 აგვისტოსათვის დაამთავრონ მოსავლის აღება (მოსავლის აღებაზე დაკავებულია ჰენლაინელთა ორგანიზაციის 10.000-ზე მეტი წევრი), მოიყვანონ საბრძოლო მზადყოფნაში მოიერიშეთა რაზმები და სასპორტო ორგანიზაციები. ჰენლაინელები გადაკრული სიტყვით იდუმალად აღნიშნავენ, რომ 15 აგვისტოს „სერიოზული ამბები“ დაიწყება.

ესპანეთის არმიის კომისრის—ორგეგას განცხადება

გარსელონა, 9 აგვისტო (საკდესი). ლევანტის არმიის კომისარმა ორტეგამ „მუნდო ობრეროს“ წარმომადგენელთან საუბრის დროს განაცხადა: „თუმცა მრავალ შემთხვევაში ფაშისტთა ავიაცია ყუმბარას უშენს რესპუბლიკელთა პოზიციებს ერთსადაიმავე დროს 75 თვითმფრინავიდან და ჭყრის ყუმბარებს, რომლებიც 250 კილოგრამს აღემატება—მაგრამ ასეთი ბომბარდირებისა და საარტილერიო მომზადების შემდეგაც კი მეამბოხენი და ინტერვენტები მაინც უკან იხევენ რესპუბლიკელთა წინააღმდეგობის გამო. ფაშისტთა ზარალი—მოკლულთა და დაჭრილთა რაოდენობა ლევანტის ფრონტზე შეადგენს 20-30 ათას კაცს“. შემდეგ ორტეგამ აღნიშნა, რომ რესპუბლიკელთა შეტევამ აღმოსავლეთის ფრონტზე დიდი დახმარება გაუწია ლევანტის არმიას, რომელმაც მოახერხა გამოეყენებინა ინტერვენტების შემოტევის შესუსტება თავისი პოზიციების გასამაგრებლად.

„ლევანტის არმია—სთქვა დასასრულ ორტეგამ,—რომელსაც მხარს უჭერს და სიყვარულით ეკიდება მოსახლეობა, არავითარ მსხვერპლს არ მოერიდება გამარჯვების მისაღწევად“.

კატალონიის ხალხის გმირული ბრძოლისადმი მიძღვნილი კრება

პრაღა, 9 აგვისტო (საკდესი). გუშინ პრაღაში, „ლიუცერნის“ დიდ დარბაზში შესდგა ესპანეთის ხალხის გმირული ბრძოლის ორი წლისთავისადმი მიძღვნილი მასობრივი კრება. კრება მოაწყო დემოკრატიული ესპანეთის მეგობართა საზოგადოებამ. კრებას, რომელიც მხურვალედ მიესალმა ფაშისტ ინტერვენტების წინააღმდეგ ესპანეთის ხალხის გმირული ბრძოლის 2 წლისთავს, დედაქალაქის 5 ათასზე მეტი მუშა დაესწრო. შინაარსიანი სიტყვებით გამოვიდნენ კომუნისტების, სოციალ-დემოკრატების და სხვა პარტიების მთელი რიგი ორატორები.

ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის მიერ პარიზიდან მიღებული ცნობების თანახმად)

აღმოსავლეთის ფრონტი

თანახმად ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს 8 აგვისტოს ოფიციალური ცნობისა, ინტერვენტებმა და მეამბოხეებმა იერიში მიიტანეს რესპუბლიკელთა პოზიციებზე ფაიონიდან ჩრდილოეთისაკენ. განდესის რაიონში მტერი უშედეგოდ ცდილობდა იერიში მიეტანა ვილალბასა და ლოს არკოსზე. მეამბოხეთა იერიშები განდეს-ტორტოსის გზის გასწვრივ რესპუბლიკელთა ჯარმა სავსებით უკუაგდო.

საჰაერო ბრძოლაში რესპუბლიკელთა ავიაგანმანადგურებლებსა და მეამბოხეთა ავიაციას შორის რესპუბლიკელებმა ჩამოაგდეს ერთი ორმოტორიანი „ჰეინკელი“.

ლევანტის ფრონტი

ფრონტის აღმოსავლეთ ზონაში რესპუბლიკელებმა დაიკავეს სიმაღლეები 1554 და 1555. მტრის ყველა იერიში პუებლა დე ვალვერდეს, მანსანედისა და კაუდიელის სექტორებში უკუგდებულ იქნა რესპუბლიკელთა ენერგიული კონტრდარტყმით.

სხვა ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია.

○

8 აგვისტოს, დღის დასასრულს, ინტერვენტების ავიაციამ ყუმბარები დაუშინა ვალენსიის ზღვისპირის უბნებს. ყუმბარები ზღვაში ჩავარდა. მსხვერპლი და ნგრევა არ ყოფილა. 9 აგვისტოს, დილით, ფაშისტთა ავიაციამ ყუმბარები დაუშინა ვილიანუევა-ი-გელტრუს და ჰოსპიტალს სიტგესში (ბარსელონის მახლობლად). ერთი ქალი მოკლულია, ოთხი ქალი და ორი გოგონა დაჭრილია.

ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის გემის „ლეიკლუგანოს“ ეომბარდირებას (რასაც უკვე ვიუწყებოდით) წინ უძღოდა „სავოიის“ ტიპის იტალიური ჰიდროპლანის საზვერაო გაფრენა; ეს ჰიდროპლანი დაეშვა დაახლოებით 40 მეტრის სიმაღლეზე და ამგვარად ადვილად შეეძლო გამოერკვია თუ ვის ეკუთვნოდა გემი, რომელმაც შემდეგ განიცადა ბომბარდირება იტალიელთა თვითმფრინავის მხრივ.

საომარი მოქმედება ჩინეთში

(საკდესის ხანკოუელი, შანხაელი და ლონდონელი კორესპონდენტებისაგან მიღებული ცნობების მიხედვით)

ცენტრალურ ჩინეთში

ჩინელთა ჯარი, რომელიც 8 აგვისტოს კონტრშეტევაზე გადავიდა მდინარე იანძის ფრონტზე, კვლავ უკან ახევინებს იაპონელთა ნაწილებს. ჩინელთა ჯარის შეტევა სწარმოებს სამ პარალელურ კოლონად. ერთ მათგანს იერიში მიაქვს ქალაქ ხუანძეის კედლებზე, მეორე მიუახლოვდა სუსუნს და იმყოფება მისგან სულ მხოლოდ სამი კილომეტრის მანძილზე, მესამე კოლონა ახდენს იაპონელთა ჯარის მარჯვენა ფლანგის შემოვლას ქალაქ ტაიხუსა და ციანშანთან. მდინარე იანძის სამხრეთ ნაპირზე ძიუძიანის მახლობლად გაფთრებული ბრძოლა სწარმოებს. პოზიციები ოთხჯერ გადავიდა ხელიდან ხელში. უკანასკნელ ბრძოლებში იაპონელებს 6.000-ზე მეტი კაცი მოუკლეს და დაუჭრეს.

პუტუნის (შანხაის აღმოსავლეთი განაპირა უბანი) რაიონში იმყოფება ჩინელთა 60 და 66 დივიზიების ნაწილები და პარტიზანები. ამ ჯგარისა და პარტიზანთა საერთო რიცხვი 60 ათას კაცს აღწევს. უკანასკნელ დღეებში ისინი დიდ აქტივობას ანვითარებენ უშუალოდ შანხაის მახლობლად.

7 აგვისტოს იაპონელთა თვითმფრინავებმა ნანჩანში (ძიანსის პროვინციის დედაქალაქი) 60 ყუმბარა ჩამოჰყარეს. მოკლულია 87 და დაჭრილია 63 კაცი. ყუმბარშენამ დაანგრია 300 სახლი.

ჩრდილო ჩინეთში

უცხოელი მოგზაურები, რომლებიც ჩინეთის ჩრდილო ნაწილიდან ჩამოდიან, იუწყებიან, რომ შანსის, ხებეისა და სუიუანის პროვინციებში მრავალი ქალაქი ჩინელების ხელშია. ადგილებზე აღდგენილია ჩინელთა ხელისუფლება, რომელიც ცენტრალურ მთავრობას ემორჩილება.

9 აგვისტოს, დილით, იაპონელთა 20 თვითმფრინავმა კვლავ ყუმბარები დაუშინა კანტონს. უკანასკნელი ცნობებით, ქალაქისათვის ყუმბარების დაშენის შედეგად მოკლულია 100 და დაჭრილია 200 კაცი.

იაპონელთა თვითმფრინავები უკვე რამდენიმე დღეა განუწყვეტლივ უშენენ ყუმბარებს კანტონ-ხანკოუს რკინიგზას და გუანდუნის პროვინციის მრავალ ქალაქს.

თანახმად ზემდგომ ორგანოების დადგენილებისა, 1938 წ. 1/VIII-დან ხდება საქართველოს სსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან, რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებთან და ქალაქის საბჭოებთან არსებული **ბავშვთა კომისიების** და **მათში შემავალ წარმოებათა**

ლიკვიდაცია

იმ ორგანიზაციებმა და პირებმა, რომლებსაც პრეტენზიები აქვთ, უნდა განაცხადონ ცენტრალურ სალიკვიდაციო კომისიაში არა უგვიანეს 20/VIII-სი.

ვადის გასვლის შემდეგ არავითარი პრეტენზია განსახილველად არ მიიღება.

მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 2, მთავრობის სასახლე, ოთახი № 45.

18653 **ლიკვიდკომი.**

თბილისის ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწ. ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს

შემდეგ თავისუფალ კათედრებზე და აგრეთვე იმ კათედრებზე, რომლებიც ამჟამად დაკავებულია შეთავსებით (**თანახმად საკავშირო ჯანახკომის ბრძანებისა № 927 ა. წ. 7 ივლისის**).

1. ტუბერკულოზი, 2. ჰიგიენა, 3. კურორტოლოგია, 4. სანიტარიული თავდაცვა, 5. ინფექციურ სნეულებათა, 6. პათალოგიური ანატომია—სასამართლო მედიცინა, 7. მიკრობიოლოგია—ეპიდემიოლოგია, 8. კანის და ვენერიულ სნეულებათა, 9. პედიატრიული და 10. კლინიკურ-ლაბორატორიული.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

1. მოწმობა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შესახებ.
2. ცნობა სამეცნიერო ხარისხისა და წოდების შესახებ.
3. შრომების სია და შრომები.
4. რეცენზიები ამ შრომების შესახებ.

საბუთები წარმოდგენილ უნდა იქნას ინსტიტუტის კანცელარიაში (ლუნაჩარსკის ქუჩა, № 12 ა. წ. 1-ლ სექტემბრამდე.

1749 **დირექცია.**

სააქციო საზოგადოება „ტრანსკავკასიის ელექტრიფიკაციის სამშენებლო ტრესტი“

ბალანსი 1938 წლის 1 იანვრისათვის

აქტივი

№ № რიგ.	ბალანსის მუხლების დასახელება	ჯამი
1	ძირითადი საშუალებანი	2.582.467—78
2	ნედლეული, მასალები და სათბობი	128.801—30
3	ფულადი საშუალებანი	34.955—88
4	საშუალებანი ანგარიშსწორებაში	181.470—34
5	მომავალი დროის ხარჯები	6.062—41
6	გახარჯებული საშუალებანი	223.526—64
7	ლიმიტგარეშე კაპიტალური დაბანდება	113.246—03
	ბალანსი...	3.270.530—38

პასივი

№ № რიგ.	ბალანსის მუხლების დასახელება	ჯამი
1	ფონდები	2.910.602—69
2	სხვადასხვა რეზერვები	1.692— —
3	ანგარიშსწორებანი	50.179—05
4	დაგროვებანი	308.056—64
	ბალანსი...	3.270.530—38

გაცვეთა ძირითადი საშუალებებისა—397.033—93

1937 წლის მოგება-ზარალის ანგარიში

1.	სადავო ვალების რეზერვი	539—50	1. შემოსავალი რეალიზ.	239.302—0
2.	წარსული წლის ხარჯები	297—67	2. „ საიჯარო მუხლ.	91.215—03
3.	ზარალი უიმედო ვალების ჩამოწ.	11.902—11	3. „ გამოუყენებელი რეზერვი	80—04
4.	სხვადასხვა ხარჯები და ზარალი	18.143—21	4. „ ჩამოწერილ წარსულ წლის დებიტორთა დავალიან.	1.851—50
		30 882—49	5. სხვადასხვა შემოსავალი	6.490—51
5.	დაგროვებანი	308.056—64		338.939—13
	ბალანსი...	338.939—13	ბალანსი	338.939—13

ბალანსი დამტკიცებულია ცენტრ. საბალანსო კომისიის მიერ 1938 წლ. 10 აპრილს ოქმი № 2.

ტრესტის მმართველი **სიმონიანი.**

მთ. ბუღალტერი **აგაჩოვა.** 1630

კასპის რაიკომი, რაიაღმასკომი და კომკავშირის რაიკომი მწუხარებას გამოსთქვამენ გამოჩენილი ქართველი მწერალი ქალის

**ე